ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სავარაუდოდ, ქალზე ძალადობის ფაქტზე მსახიობი კახა აბუაშვილი, იგივე „კაბუ“ დააკავეს

გვ.2

ორშაბათი, 27 ნოემბერი, 2023 | №233 (9269) | ფასი: 80 თეთრი

# „კალაძეს პოლიტიკური ამბიციები აქვს, მაგრამ საარჩევნოდ ივანიშვილი არავის შეცვლის“



დავით ზურაბიშვილი: „ნაცმოძრაობა, პრაქტიკულად, რევანშისტული ძალაა“



გვ.2

## „მარგველაშვილსა და ზურაბიშვილს შეუძლიათ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობა შეცვალონ“

ლევან ალაფიშვილი: „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში ერთპიროვნულად დარჩენის ნულოვანი შანსი აქვს“



გვ.3

## გოგა ხაინდრავა: „მზად ვარ, სასამართლოს და პროკურატურას გადავცე მასალები, რომლებიც სააკაშვილის მხრიდან პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს“



გვ.4





გვ.3

## დათო ლორთქიფანიძე: „ჩვენს ხელისუფლებაზე ახია, რომ ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა, დღეს კიდევ შემორჩა“

*ამბები აფხაზეთის ომიდან*

გვ.5

## „მშვიდი სახე აქვს შარტავას. თავისი დაცვის ბიჭებს ისე წყნარად ესაუბრება, თითქოს სოხუმის ირგვლივ ქორწილის მაყრიონია“





გვ.5

*მედიცინა*

სასუნთქი გზების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

## ირაკლი ღარიბაშვილი ილჰამ ალიევს ბაქოში შეხვდა



გვ.3

1993230720223

2 გარდაცვლილი ფეხბურთელის მამა: „საბრალდებო სკამზე, ექიმთან ერთად, სხვებიც უნდა ისხდნენ“

6 ლუკაშენკო ბელორუსიდან გაქცევას აპირებდა?

2 ქართველმა ემიგრანტმა პოლონეთში საკუთარი და მოკლა

6 ზელენსკიმ რუსეთთან ომის მოგებისათვის აუცილებელი სამი ღონისძიება დაასახელა

# „კალაძეს პოლიტიკური ამბიციები აქვს, მაგრამ საარჩევნოდ ივანიშვილი არავის შეცვლის“

## დავით ზურაბიშვილი: „ნაცმოძრაობა, პრაქტიკულად, რევანშისტული ძალაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



***– ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? გასული კვირის მიწურულს ნაცმოძრაობის მანიფესტი გამოქვეყნდა, ვარდების რევოლუციის 20 წლის თავზე. მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს ყველაფერი პარტიიდან სამი კაცის გასარიცხად გაკეთდა. რას იტყვით თქვენ, რა პროცესები მიმდინარეობს ნაციონალურ მოძრაობაში?***

– გულახდილად რომ გითხრათ, ნაკლებად ვინტერესდები ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებით. ამ პარტიიდან გამოვიდეს რაიმე ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში იქნებოდა პოზიტიური ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის. სამწუხაროდ, ასეთ პერსპექტივას მე მანდ ვერ ვხედავ, სანამ მიხეილ სააკაშვილი არ ჩამოსცილდება პოლიტიკას.

***– ჩამოსცილდება კი?***

– მიხეილ სააკაშვილი სანამ ცოცხალია, პოლიტიკას არ ჩამოსცილდება.

***– ისეთი აქტიურია ბოლო პერიოდია, საარჩევნო კამპანია აქვს დაწყებული.***

– ვიცნობ მე მას ასე თუ ისე. ძალიან ხშირად მას პოლიტიკურ ცხოველს ეძახიან. ამით ცხოვრობს ეს ადამიანი. ღმერთმა ჯანმრთელობა მისცეს, მაგრამ სანამ ის არის პოლიტიკური ლიდერი, ის ვერ შეასრულებს დადებით როლს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის ძალიან დიდი ნაწილი კი, აბსოლუტური წილი, არის პირადად მისი რეიტინგი. ამიტომ ამ პარტიიდან ნიკა მელია წამოვა თუ არა, არა მგონია, ამან არსებითად იმოქმედოს ნაცმოძრაობაზე. მე მაინც ვფიქრობ, რომ სანამ ნიკა მელია იყო ამ პარტიის თავმჯდომარე, სანამ ხატია დეკანოიძე და კიდევ სხვები იყვნენ ამ პარტიაში, იქმნებოდა ილუზია, რომ ნაცმოძრაობა თითქოს უფრო კონსტრუქციული ძალა იყო. სააკაშვილი არასოდეს არ გაუშვებს ამ პარტიას ხელიდან. მისი ერთადერთი სურვილია, რომ მეორედ შევიდეს იმავე მდინარეში. ანუ კვლავ გახდეს ის, რაც იყო 2012 წლამდე. პრაქტიკულად, ეს არის რევანშისტული ძალა.

***– სააკაშვილმა პირველად მიმართა ამ ორი წლის მანძილზე სალომე ზურაბიშვილს. ქალბატონ პრეზიდენტსაც ძალიან ხშირად ეკითხებიან, შეიწყალებს თუ არა სააკაშვილს, რაზეც ის პასუხს არ სცემს. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, შეიწყალებს მიხეილ სააკაშვილს?***

– არა! არანაირად არ მაქვს მოლოდინი, რომ შეიწყალებს. სააკაშვილის შეწყალება წინასაარჩევნოდ, ეს, პრაქტიკულად, არის საარჩევნო კამპანიაში ჩართვა სააკაშვილის სასარგებლოდ. არჩევნები რომ უკვე დამთავრებული იყოს, შესაძლოა, კიდევ იფიქრო ჰუმანურ მოტივებზე, მაგრამ არჩევნების წინ, ეს პირდაპირ პოლიტიკური ჟესტი იქნება და დარწმუნებული ვარ, ამას სალომე ზურაბიშვილი არ გააკეთებს.

***– ზოგიერთი დარწმუნებულია, რომ შეიწყალებს. რატომ აქვთ ამის მოლოდინი?***

– ლოგიკიდან გამომდინარე ასეა და ვისაც აქვს მოლოდინი, რომ შეიწყალებს, მას გულის სიღრმეში ალბათ სჯერა იმ შეთქმულების თეორიის, რომ სალომეს და მიშას ჰყავთ გლობალური ომის პარტია უფროსად და ის აძლევს ბრძანებებს. ასეთ ზღაპრებს თუ არ დავუჯერებთ, რეალურად არანაირი ლოგიკა ამაში არ არის, რომ სალომემ შეიწყალოს სააკაშვილი. როცა საუბრობდნენ, აი კვდება და ცუდად არის, მაშინ კიდევ იტყოდა კაცი, რომ ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიწყალა. ახლა რა მოტივი არსებობს?! რომც შეიწყალოს, მაინც არ გამოუშვებენ. არის საქმეები, სადაც არ დამდგარა განაჩენი.

***– და რა იქნება ამ მანიფესტის შემდეგ ნაცმოძრაობაში?***

– მე არა მგონია, რომ ამ პარტიაში რამე კარგი მოხდება. ყველაზე კარგი იქნება, რაც უფრო მეტად დაიშლებიან და მეტი ნორმალური ადამიანი გაემიჯნება, უკეთესი იქნება. თუმცა, სულ რომ ყველა წამოვიდეს და აღარავინ დარჩეს, სანამ სააკაშვილია, ორნიშნა რეიტინგი ყოველთვის ექნება პარტიას. რა ვქნათ, ასეა. ეს არის ის რეალობა, რომელსაც უნდა შევეგუოთ. ასევე, რეალობაა ისიც, რომ ეს ძალა ხელისუფლებაში ვერ მობრუნდება. ერთადერთი, ვინც დაინტერესებულია, ნაცმოძრაობა შეინარჩუნოს როგორც საფრთხობელა, ესაა „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი.

***– ბატონო დავით, არჩევნები ახლოვდება და ოპოზიცია რთულ სიტუაციაშია. ვისმენთ შეფასებებს, რომ პატარა პარტიებს შანსი თითქმის არ აქვთო. გასულ კვირას მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, შუა უნდა შეიკრიბოსო. რამდენად გამოვა ახლა შუის შეკრება და რა იგულისხმება?***

– მე არ ვარ დიდად ოპტიმისტურად განწყობილი, თუმცა რა იგულისხმა, ეს თავად უნდა თქვას. სლოგანი თავისთავად კარგია, მაგრამ კონკრეტული პოლიტიკური შინაარსი რა იქნება, ვის გაერთიანება იგულისხმება, ვინ იგულისხმება ამ შუაში, ეს არის აქ პრობლემა. მე რა კომენტარებსაც ვისმენ და ამ ე.წ. შუაშისტური სპექტრის შეხედულებებს, როგორი მსჯელობაც მიდის, სიმართლე გითხრათ, არ მაქვს დიდი იმედი, რომ რამე ნორმალური გამოვა მანდედან.

***– რატომ?***

– არ ხდება გაცნობიერება რეალობის. მაგალითისთვის გეტყვით, „ევროპული საქართველო“, თამარ ჩერგოლეიშვილი და გიგა ბოკერია, ძალიან სწორად ხედავენ პრობლემას, ახდენენ იმის იდენტიფიცირებას, მაგრამ შემდეგ არასწორ გზას ირჩევენ ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

„ლელოს“ თუ მოვუსმენთ, მათაც კარგად აქვთ გაგებული პრობლემა, თუმცა გადაჭრის გზები არასწორია. თუ გინდა იყო მესამე ძალად დაფიქსირებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია, მაშინ უნდა იყო განსხვავებული ნაცმოძრაობისა და „ოცნებისგან“. ორივე ძალისგან უნდა იყო თანაბრად დისტანცირებული. ეს არის ორჯერ ორი ოთხი და ეს უმრავლესობას, 90%-ს არ ესმით. როდესაც გამოდიხარ და ამბობ, რომ მე „ქართულ ოცნებასთან“ არ ვითანამშრომლებ, მაგრამ ნაცმოძრაობასთან შევკრავ კოალიციას და ისე მოვალ ხელისუფლებაში, ეს ნიშნავს, რომ შენ ნაცმოძრაობისგან არ ხარ ისე დისტანცირებული, როგორც „ქართული ოცნებისგან“. ანუ თანაბრად არ ხარ დისტანცირებული. გულწრფელად რომ გითხრათ, ამას ვერ ახერხებს ვერც „ლელო“ და ვერც სხვა. გახარიას პარტიის გარდა, ამას ვერც ერთი ვერ ახერხებს. გახარიას და მის პარტიას შეიძლება სხვა პრობლემები აქვს, მაგრამ ეს პრობლემა არ აქვს, ის ორივესგან დისტანცირებულია.

***– ბოლო დღეებია, გამოდის კულუარული ინფორმაცია, რომ ნიკა მელია მოდის ნაციონალური მოძრაობიდან და ერთიანდება „ლელოსთან“? ეს რამდენად სწორი გადაწყვეტილება იქნება?***

– ალბათ უფრო სწორი იქნება, ვიდრე არასწორი. ალბათ უფრო ნაცმოძრაობასთან ახლო მდგომ შუაშისტებზე იქნებიან ორიენტირებული. ერთობლივად უფრო მეტი შანსიც ექნებათ ბარიერის გადალახვის. თუმცა ეს არ არის საუკეთესო ვარიანტი.

***– საუკეთესო რომელია?***

– საუკეთესო ვარიანტი ეს არის, მთელი სპექტრის გაერთიანება სალომე ზურაბიშვილის ეგიდით. სალომე ზურაბიშვილის დროშის ქვეშ, ამას სიმბოლურად ვამბობ, გაერთიანდეს ყველა. ამ შემთხვევაში, გახარიაც უნდა იყოს, „ლელოც“ მელიაც და სხვებიც. ასეთი ტიპის გაერთიანება, ასეთ სიჭრელეს აიტანს. სხვა ტიპის გაერთიანება კი ვერ იტანს სიჭრელეს. ასეთი ტიპის გაერთიანებას სერიოზული და დიდი რეიტინგიც ექნება.

***– სოციოლოგიური კვლევები ქვეყნდება ბოლო პერიოდია აქტიურად. ამ კვლევებზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება კვლევებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ბოლოს და ბოლოს, რა გახდა, რომ ჩატარდეს ერთი ნორმალური კვლევა და დაიდოს რეალური სურათი, ვის რა რეიტინგი აქვს. ეს შეკვეთილი კვლევები ნდობას არ იწვევს. საკუთარ პარტიულ აქტივისტებს რომ გამოიკითხავ, ეს არასოდეს არ იქნება ზუსტი! სოციოლოგია კი ზუსტი მეცნიერებაა. დაუკვეთონ იაგო კაჭკაჭიშვილს კვლევა და აი ის იქნება რეალური.

***– ბატონო დავით, რას იტყვით „ქართულ ოცნებაზე“? საუბარია, რომ ივანიშვილი ცვლილებებს გეგმავს წინასაარჩევნოდ. ბოლო დღეებია აქტიურად საუბრობენ კახა კალაძის გაპრემიერებაზე. სჭირდება ივანიშვილს არჩევნების წინ ღარიბაშვილის ჩანაცვლება?***

– ეს სწორი სვლა იქნება პოლიტტექნოლოგიურად. დღეს, ღარიბაშვილი და კალაძეა ორად ორი ადამიანი „ქართულ ოცნებაში“, ვისაც რეიტინგი აქვს.

კალაძეს მეტი ამბიცია, თავისი პრეტენზიები აქვს. წინა პრემიერებსაც ჰქონდათ ამის ილუზია, რომ ივანიშვილი მათ მიუშვებდა ქვეყნის მართვის პულტთან. ეს კი ასე არასდროს არ ხდება. ივანიშვილი ასეთ ილუზიას ბევრს უქმნის, მაგრამ ის პულტი სულ თვითონ უჭირავს ხელში. არავის არ აძლევს. თუკი ჩნდება პიროვნება, ვისაც დამოუკიდებლობის მაგვარი რაღაც გააჩნია, ივანიშვილი მას არ გაახარებს. კალაძე, შესაძლოა, სწორედ ამის გამო არ დანიშნოს პრემიერად, რადგან მას პოლიტიკური ამბიცია აქვს. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ არაფერს არ შეცვლის.

**სამართალი**

### არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებული მამაკაცი, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვან გოგონას აედევნა ქუჩაში და მის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, ბ.ი. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მამაკაცი, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვან გოგონას აედევნა ქუჩაში და მის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

### გარდაცვლილი ფეხბურთელის მამა: „საბრალდებო სკამზე, ექიმთან ერთად, სხვებიც უნდა ისხდნენ“



გარდაცვლილი ფეხბურთელის, ვახტანგ ჩარკვიანის მამა, გაიოზ ჩარკვიანი აცხადებს, რომ მისი შვილის გარდაცვალების საქმეზე, ექიმ ქეთევან ცერცვაძესთან ერთად, „საბრალდებო სკამზე სხვებიც უნდა ისხდნენ“.

აღნიშნულის შესახებ გაიოზ ჩარკვიანმა ჟურნალისტებს თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადა, სადაც მისი შვილის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ ექიმს, ქეთევან ცერცვაძეს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 12.000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა.

– 8 დღის განმავლობაში ინფექციონისტი არ შესულა, რომელსაც მდგომარეობა თერაპევტთან ერთად უნდა ემართა. აგრეთვე, თვითონ ბრალდებულმა ექიმმა თქვა, რომ ეს ანტიბიოტიკი მე არ დამინიშნავსო და ეს სიმართლეა. აქედან გამომდინარე, საბრალდებო სკამზე, მასთან ერთად, სხვებიც უნდა ისხდნენ. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ პროკურორი იქნება თუ მოსამართლე, მისი გამოტანილი გადაწყვეტილებით, არ მინდა, რომ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვდეს, ისევ და ისევ, მის ექიმთან, მოსამართლეზე მაქვს საუბარი, – განაცხადა გაიოზ ჩარკვიანმა.

ინფორმაციისთვის, პროკურატურამ 20 წლის ფეხბურთელის, ვახტანგ ჩარკვიანის გარდაცვალების საქმეზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელს, ქეთევან ცერცვაძეს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 220 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით (გულგრილობა, ესე იგი საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია) წარუდგინა.

საგამოძიებო უწყების ცნობით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოზით დაზარალებული, 2021 წლის 11 აგვისტოს, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“ მოათავსეს, სადაც სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობა უტარდებოდა. აღნიშნული კლინიკის თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელმა, რომლის ინფორმირებით და უშუალო ჩართულობით მიმდინარეობდა მკურნალობის პროცესი, არ გაითვალისწინა პაციენტის კლინიკური მდგომარეობის მართვის შესაბამისი პროტოკოლი და პაციენტს მედიკამენტური მკურნალობა აუცილებელი კვლევის ჩატარების გარეშე დაენიშნა.

პროტოკოლის დარღვევების ფონზე ჩატარებული მკურნალობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების მიზეზი გახდა, რის გამოც იგი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც მოგვიანებით გარდაიცვალა.

### ქართველმა ემიგრანტმა პოლონეთში საკუთარი და მოკლა

მარნეულელმა კაცმა პოლონეთში და მოკლა. ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

პოლონელი სამართალდამცველების ინფორმაციით, დაღუპულს სასიკვდილო ჭრილობა კისრის არეში ცივი იარაღით ჰქონდა მიყენებული.

ცხედარი ბინაში მცხოვრებმა, ასევე საქართველოს მოქალაქეებმა აღმოაჩინეს, რომლებიც სახლში გამთენიისას დაბრუნდნენ. არსებობს სავარაუდო დამნაშავის აღწერილობა და მასზე ძებნაა გამოცხადებული.

მკვლელობის მოტივი უცნობია.

### სავარაუდოდ, ქალზე ძალადობის ფაქტზე მსახიობი კახა აბუაშვილი, იგივე „კაბუ“ დააკავეს



სავარაუდოდ, ქალზე ძალადობის ფაქტზე მსახიობი და რეპერი კახა აბუაშვილი (კაბუ) სამართალდამცველებმა გუშინ დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, მომღერალი ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

შსს-ს ინფორმაციით, კახა აბუაშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 151-ე მუხლის დარღვევის გამო დააკავეს, რაც ძალადობას და მუქარას გულისხმობს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ხაზინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მარგველაშვილსა და ზურაბიშვილს შეუძლიათ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობა შეცვალონ“

## ლევან ალაფიშვილი: „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში ერთპიროვნულად დარჩენის ნულოვანი შანსი აქვს“



ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, რა შემთხვევაში შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო ბარიერი დაწიოს? დღევანდელი პოლიტიკური მოცემულობით, ყველაზე მეტად მმართველ პარტიას აწყობს მაღალი საარჩევნო ბარიერი.***

– ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც საარჩევნო ბარიერის დაწევაზე ვსაუბრობთ, „ქართული ოცნების“ პერსპექტივიდან გამომდინარე, ერთპიროვნულად ძალაუფლების შენარჩუნება და ქვეყნის მართვა კიდევ ერთი ვადით, ძალიან გაუჭირდება. „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში ერთპიროვნულად დარჩენის ნულოვანი შანსი აქვს. ამიტომ ის შეეცდება პოლიტიკურ თამაშებს.

***– რა მიმართულებით?***

– ვაჭრობას გააბამს როგორც ოპოზიციურ სპექტრთან, ისე დასავლელ პარტნიორებთან. მაგალითად, ევროკავშირთან, რომ მათ ითხოვონ საარჩევნო ბარიერის დაწევა. რეალურად კი დაბალი საარჩევნო ბარიერი ყველაზე მეტად „ქართულ ოცნებას“ სჭირდება, ე.წ. სატელიტი პარტიების საჭადრაკო დაფაზე ხელდასხმა მაინცდამაინც მომგებიანი არ გამოდგა. „ოცნებას“ ვერც ერთი მათგანი გაჭირვების ჟამს დახმარების ხელს ვერ გაუწვდის. არადა, თავის დროზე, სწორედ ამისთვის შეიქმნენ ეს პარტიები. „ევროპელი სოციალისტებიდან“ მოყოლებული, „ხალხის ძალით“ დასრულებული. არც ერთს არა აქვს ის უნარი, რომელიც მათ „ოცნებამ“ დააკისრა. ამ პარტიების ფონს გასაყვანად მმართველმა პარტიამ უნდა იზრუნოს. ამიტომ სჭირდებათ საარჩევნო ბარიერის დაწევა.

***– შემდეგ კი, მათთან ერთად შეკრავენ კოალიციას?***

– რა თქმა უნდა, ეს არის მიზანიც. თან, დასავლეთში გამოჩნდება, რომ როგორი დიდსულოვანი დემოკრატები არიან, რომ ძალაუფლებას ოპოზიციურ პარტიებს უყოფენ.

***– რეალური ოპოზიცია კი პროცესს მიღმა აღმოჩნდება?***

– თუ არაფერს არ შეცვლის ოპოზიცია, ნამდვილად ასე იქნება.

***– რა უნდა შეცვალოს ოპოზიციამ ან რა უნდა გააკეთოს, რომ ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს?***

– ძალიან გაუჭირდება ამ ოპოზიციას რამე შეცვალოს ისე, რომ რეალურად ალტერნატივა გახდეს.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში ოპოზიციასთან „ოცნების“ ლიდერებმა შეხვედრა გამართეს, სადაც ბარიერის საკითხი განიხილეს.***

– დღეს ოპოზიციას არა აქვს ის პოზიციები საზოგადოებაში, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს საზოგადოების ზურგსუკან განიხილავდეს, დახურულ კარს მიღმა. ოპოზიცია პოლიტიკური საკითხებით, თან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებით ვაჭრობს „ქართულ ოცნებასთან“.

***– ოპოზიციურ ფლანგზე რამდენად არის მოსალოდნელი რამე სიახლე? ან წინასაარჩევნოდ ახალი სახეების გამოჩენა?***

– ამომრჩევლისთვის 2024 წლის არჩევნებზე ხელისუფლების რეალური ალტერნატივის შეთავაზება, მხოლოდ პარტიის მიღმა მდგომ პოლიტიკურ ფიგურებს შეუძლიათ.

***– შეგიძლიათ ეს პოლიტიკური ფიგურები დაგვისახელოთ?***

– ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მგონია ის წონიანი ლიდერები, რომლებსაც შესწევთ საზოგადოების, ამომრჩევლის კონსოლიდირების უნარი. დღეს ეს ლიდერები გამოიყურებიან დემოკრატიის სადარაჯოზე მყოფებად. დასავლური ტიპის ლიდერებად, რომლებიც სჭირდება ჩვენს ქვეყანას, მის მომავალს. საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას.

***– ხელისუფლების რეალური ალტერნატივის შექმნის შესაძლებლობა სწორედ ამ ლიდერებს შესწევთ?***

– დიახ. მათ გარშემო შექმნილ გარკვეულ ერთობას, ცხადია, მათი ხელმძღვანელობით, ავანგარდში ყოფნით. მხოლოდ მათ შეუძლიათ, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობა შეცვალონ. მე აქ არ ვსაუბრობ 3 ან 4 მანდატზე მომავალ პარლამენტში, ქვეყანაში მოცემულობის შეცვლის პერსპექტივაზე ვსაუბრობ.

# „ჩვენს ხელისუფლებაზე ახია, რომ ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა, დღეს კიდევ შემორჩა“

## დათო ლორთქიფანიძე: „2012 წელს, ხელისუფლებაში რომ მოვედით, საერთაშორისო სტრუქტურებთან ურთიერთობები განახლდა, ჩვენს მოსვლამდე, ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ევროსტრუქტურებთან მუშაობა აბსოლუტურად გაჩერებული იყო“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.**



***– ბატონო დათო, ნაცმოძრაობა ე.წ. ვარდების რევოლუციის 20-წლისთავს ზეიმობს. 11-პუნქტიანი მანიფესტი გამოაქვეყნეს. საუბრობენ რაღაც ერთიანობაზე.***

– იმ მენტალობის ადამიანებს, რომლებიც დღემდე ნაცმოძრაობაში დარჩნენ და მათ ლიდერშიპს წარმოადგენენ, საზეიმოდ „ნამდვილად აქვთ“ საქმე. მათ ხელისუფლებაში ყოფნით ძალიან დიდი ფული იშოვეს, ცხოვრება მოიწყვეს, პასუხი არ უგიათ იმის გამო, რაც მათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩაიდინეს.

ეს თარიღი მათთვის განსაკუთრებულია. ოღონდ, 23 ნოემბერი საზეიმო დღე ერთეულებისთვისაა. მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იყო აღვირახსნილი ძალადობა, მკვლელობები ქუჩებში – 130-ზე მეტი ახალგაზრდა ქუჩაში მოკლეს.

სხვათა შორის, მათი ხელისუფლებაში მოსვლის წლისთავზე, 2004 წლის 24 ნოემბერს, ნაცმოძრაობას პირველი მსხვერპლი შეეწირა – ბუტა რობაქიძე. ამას შემდეგ მოჰყვა გირგვლიანის, გამცემლიძის, ვაზაგაშვილებისა და სხვების მკვლელობები.

აბა, განსაჯეთ, 23 ნოემბერი ამ ხალხისთვის და მათი ახლობლებისთვის საზეიმო დღე არის თუ არა?! 23 ნოემბერი საზეიმო დღე მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის იმ წევრებისთვისაა, მათი გამოქვეყნებული მანიფესტი პრინციპულად არ წავიკითხე. პრინციპულად არ მაინტერესებს, ისინი რა ე.წ. მანიფესტს გამოსცემენ.

***– გასაგებია, მაგრამ ნაცმოძრაობის ე.წ. მანიფესტს ასეთი სათაური აქვს: „რუსი ოლიგარქი ან საქართველო – ტოტალური შეტევა სისტემაზე“. როგორ გესმით თქვენ ეს სათაური?***

**– სათაური ვნახე სოცქსელებში, მაგრამ ტექსტი არ წავიკითხე, რადგან, როგორც იტყვიან, მათ უტეხობას საზღვარი არ აქვს. თავის ირგვლივ მთელი სპექტრი ოლიგარქებით გავსებული ჰყავთ.**

ვისზე ლაპარაკობენ, რა რუსულობაზე ლაპარაკობენ, როდესაც ჩვენ ვართ ის პოლიტიკური გუნდი, რომლის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ევროპასთან გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულება. ახლა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ვლებულობთ.

2012 წელს, ხელისუფლებაში რომ მოვედით, საერთაშორისო სტრუქტურებთან ურთიერთობები განახლდა, ჩვენს მოსვლამდე, ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ევროსტრუქტურებთან მუშაობა აბსოლუტურად გაჩერებული იყო, რაც ძალიან დიდ კითხვის ნიშნებს ბადებს დღეს და მაშინაც ძალიან დიდ კითხვის ნიშნებს ბადებდა.

ალბათ, იმის დროც მოვა, მოვიკითხავთ, ევროპული მიმართულებით რატომ არაფერი კეთდებოდა. იმიტომ ხომ არა, რომ მთელი ქართული ეკონომიკა და სტრატეგიული ობიექტები რუსეთს ჩააბარეს?! იმიტომ ხომ არა, რომ მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის მიერ წართმეულ ქართულ მიწებს ე.წ. ქვის გროვები დაარქვა. და 2008 წლის ომის შემდეგ, ასეულობით სოფელი დაიკარგა, ასეულობით ადამიანი დაიღუპა და რუსეთს მიეცა იმის საშუალება, ჩვენი ორი ავტონომიური ერთეული დამოუკიდებლად გამოეცხადებინა?!

კიდევ ბევრი რამ ბადებს კითხვებს, თუ რატომ მოხდა ასე? ამის გამო ხომ არ იყო შეჩერებული ევროსტრუქტურებთან ურთიერთობა?

იმის გამო ხომ არ შეჩერდა ევროკავშირთან ურთიერთობები, რომ ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა ევროსაბჭოს ისეთ რეზოლუციას დაუჭირეს მხარი, რომელიც ქართული სახელმწიფოსთვის წამგებიანი იყო. მოკლედ, ბევრი კითხვის ნიშანია.

ამ დროს ეს ხალხი, შუბლზე სინდისის ძარღვი გაწყვეტილი რომ აქვს, ამ პოზიციიდან დღეს შეტევაზე აქეთ გადმოდის.

არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, არ მომერიდება – ჩვენს ხელისუფლებაზე ახია, რომ ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა, დღეს კიდევ შემორჩა და დღეს იმის საშუალება აქვთ, ჭკუაც დაგარიგონ და ქართულ სახელმწიფოს ე.წ. დემოკრატიული და სამართლებრივი განვითარების მოდელები შესთავაზოს, რასთანაც მათი საქმიანობა აცდენილია.

***– 11-პუნქტიან მანიფესტში წერენ, რომ დროა ნაცმოძრაობამ ძველი ფუნდამენტით ახლებური პოლიტიკა აკეთოსო, ანუ „ახლებური პოლიტიკით“ აპირებენ საქმიანობას. საინტერესოა, „ახლებურ პოლიტიკაში“ რას შეიძლება გულისხმობდნენ?***

– მადლობა, რომ გამაცანით (11 პუნქტი ჰქონიათ ჩამოწერილი). ხელისუფლებაში ვერასოდეს მოვლენ, მაგრამ დავუშვათ, მოვიდნენ, „ახლებურში“ გულისხმობენ იმას, რომ ისინი უკვე აღარ დაუშვებენ ისეთ შეცდომებს, რომ მათი მოქმედებები კანონგარეშე იყოს.

***– როგორ?***

– მაქსიმუმ 3-4 თვეში კანონმდებლობას შეცვლიან და ისეთ რეგულაციებს შემოიღებენ, საზოგადოება მარწუხებში ჰყავდეთ, ოღონდ, ყველაფერი კანონის ფარგლებში იქნება მოქცეული.

მაგალითად, მათ როცა დასჭირდათ, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეცვალეს პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო პირების, საჯარო მოხელეების, პოლიტიკოსების მიმართ ფიზიკურ ზემოქმედებას. მათ ამ სახის დანაშაული მსუბუქი კატეგორიიდან მძიმე დანაშაულის კატეგორიაში გადაიტანეს, რომელიც 7-დან 14-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ანუ საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდათ და კანონი შეცვალეს – თუ მათზე რაიმე ფიზიკური ძალადობა მოხდებოდა, ამ ცვლილებით ჩადენილისთვის მძიმე დანაშაულის მუხლი წაეყენებინათ, მოსახლეობა დაშინებული ჰყოლოდათ. ეს გააკეთეს თავისი მმართველობის ბოლო წლებში.

როდესაც გირგვლიანის საქმეზე დაპატიმრებული იყვნენ ალანია და სხვები, მათთვის კანონმდებლობა ისე შეცვალეს, მათ საქმეს იმგვარად მოარგეს, რომ მათი შეწყალება უფრო იოლად განხორციელებულიყო.

დასხდებიან და ამის მსგავს თემებს კანონმდებლობას მიუსადაგებენ. დარწმუნებული ვარ, ამაზე უკვე ნაფიქრალი აქვთ. მათთვის სასარგებლო ნორმებს საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქცევენ და აღსრულებას დაიწყებენ.

თუ ვინმე პროტესტს გამოთქვამს, იტყვიან, კანონის ფარგლებში ვმოქმედებთო. ამას იმიტომ გააკეთებენ, რომ მოქალაქეებს სამართლებრივი გასაჩივრების საშუალება არ დაუტოვონ. კანონის ნორმა იქნება მსუსხავი და დამსჯელი.

***– ნაცები ამბობენ, „ოლიგარქს აქვს ძალაუფლება“ ჩაგდებული ხელში, „ერის ბუნებრივ სტრუქტურას ანადგურებს, ლამობს ქართული მებრძოლი სულის ჩანაცვლებას უზნეობისა და მონობის სულისკვეთებით“. ეს თქვენ როგორ გაიგეთ?***

– ეს მე მახსენებს ფაქტებს, ნაცხელისუფლების წარმომადგენლები 2008 წლის ომის პერიოდში როგორ გარბოდნენ წითელ ხიდზე. მეთაურებმა დალუპული ჩვენი გმირი მეომრების ცხედრები ბრძოლის ველზე როგორ მიატოვეს და, რომ არა პატრიარქის მონდომება, ცხედრები ბრძოლის ველიდან გამოუტანელი დარჩებოდა.

მათი უსინდისო პოზიციები ბევრ რამეს მახსენებს. მათ ცხოვრებაში არაფერი შეუცვლიათ და ცხოვრებისაგან არაფერი უსწავლიათ. მათ ერთ მონანიებასაც კი ვერ ვიხსენებ. მათი ერთი ბოდიშიც კი არ მახსენდება.

ნაცები ბოდიშს არც მოიხდიან. ისინი თვითონ არიან იმ კალიბრის, როგორი ქართველის გამოყვანაც უნდოდათ. ამიტომ მათთვის უცხოა ადამიანობის ის სენტიმენტები, რაზეც ჩვენნაირი ტიპის სოციუმში ურთიერთობებია აგებული. თვითონ ასეთები არიან და ამიტომ უნდოდათ ახალი ქართველის გამოყვანა.

***– დღევანდელმა ნაცლიდერებმა და სააკაშვილმა მელიას, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენეს – თუ მანიფესტს ხელს არ მოაწერ, პარტიის გარეთ დარჩებიო.***

– მელიას ხელი არც უნდა მოეწერა. მას სხვა გზა აქვს არჩეული. ახლა ის პერსპექტივაში ნაცმოძრაობასთან დარჩენაზე მუშაობს. ცდილობს ნაცმოძრაობისთვის საჭირო ფიგურად დარჩეს, რომ არჩევნების შემდეგ მათი გაერთიანება მოხდეს. ამას თემატური დაერქმევა თუ სხვა რამ, მნიშვნელობა არ აქვს. მელიასთვის მთავარია, ნაცმოძრაობის ოლიგარქებისაგან დაფინანსება მიიღოს. ეს მათ ურთიერთობაში საჯილდაო ქვაა.

დადგმული სცენარია, ნაცმოძრაობის გარკვეული ნაწილი, რომელიც პარტიის ლიდერების გარკვეულ მოსაზრებებს არ იზიარებს, მელიასკენ წავიდეს და მათ ამომრჩეველი არ დაეკარგოთ. თითქოს მელია ნაცმოძრაობის სხვა ლიდერებს ემიჯნება.

ეკონომიკა



# ირაკლი ღარიბაშვილი ილჰამ ალიევს ბაქოში შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის შეხვედრა ბაქოში, „განჯელიკის“ სამთავრობო რეზიდენციაში გაიმართა. მთავრობის მეთაური ბაქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტის პირადი მიწვევით SPECA-ს ეკონომიკურ ფორუმს, საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრო.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან, კეთილმეზობლურ, მეგობრულ ურთიერთობებზე და აღინიშნა, რომ აზერბაიჯანი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სავაჭრო პარტნიორია. განიხილეს ქვეყანათა სტრატეგიული თანამშრომლობის – ვაჭრობა-ეკონომიკა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ლოგისტიკა – საკითხები. ამავდროულად, საქართველო-აზერბაიჯანს შორის არსებული მნიშვნელოვანი პროექტები: შუა დერეფნის განვითარების პერსპექტივები, რაც გულისხმობს რკინიგზის მოდერნიზაციას, პორტების, გზების გაფართოებას, მშენებლობა-განვითარებას; აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობას და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტს, რომელიც, მთავრობის მეთაურის თქმით, უფრო გააძლიერებს ორი ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალს. აღინიშნა, რომ სამომავლოდ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი გახდება ევროპა-კავკასია-აზიის სარკინიგზო დერეფნის ნაწილი. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა სამხრეთ კავკასიის მწვანე ენერგეტიკულ რესურსთა ევროკავშირის ბაზრისთვის მისაწოდებლად მასშტაბური პროექტის – შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის – განვითარების საკითხსა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

მხარეებმა მიმოიხილეს მსოფლიოსა და რეგიონში არსებული უსაფრთხოების საკითხები. მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანი სომხეთთან ძალიან მალე გააფორმებს სამშვიდობო შეთანხმებას.

– სასიხარულოა ჩემთვის მოძმე აზერბაიჯანში ვიზიტი და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკებისთვის გაეროს სპეციალურ პროგრამაში (SPECA) ჩართული სახელმწიფოების მეთაურების სამიტში მონაწილეობა. მაქვს პატივი, საპატიო სტუმრის რანგში მივმართო დღეს აქ შეკრებილ გამორჩეულ საზოგადოებას.

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს მასპინძელს, პრეზიდენტ ილჰამ ალიევს ჩემი მოწვევისთვის საპატიო სტუმრის რანგში, ამ ფორუმის შესანიშნავი ორგანიზებისა და ულამაზეს ქალაქ ბაქოში ჩვენი გულთბილი მასპინძლობისთვის.

მე ასევე გულწრფელად გილოცავთ ამ პროგრამის დაარსების 25 წლის იუბილეს, რო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გოგა ხაინდრავა: „მზად ვარ, სასამართლოს და პროკურატურას გადავცე მასალები, რომლებიც სააკაშვილის მხრიდან პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს“

მარიამ მჭედლიშვილი





## 9 პუნქტი ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ

პარტია „ლელომ“ პარლამენტს წარუდგინა რეზოლუციის პროექტი სახელწოდებით „საქართველოს დაცვის აქტი“. ესაა 9-პუნქტიანი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს „რუსების შემოსვლის შეზღუდვას და საქართველოს მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფას“.

რუსეთის მოქალაქეების მომრავლება დაიწყო მას შემდეგ, რაც რუსეთს უკრაინაში ომის გამო სანქციები დაუწესდა, პუტინმა კი ომისათვის ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა.

აირაის კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 73% შეშფოთებულია იმით, რომ რუსეთის მოქალაქეები უვიზოდ შემოდიან ქვეყანაში და აქვთ ბიზნესის დარეგისტრირებისა და ქონების შეძენის უფლება. პარტია „ხალხისთვის“ თავმჯდომარემ, ანა დოლიძემ პარლამენტში რამდენიმე შემზღუდავი წინადადება ადრე წარადგინა. „ლელოს“ აქტი უფრო ფართოა და ითვალისწინებს:

სავიზო რეგულირებას რუსეთის მოქალაქეებისთვის; დასაქმების ბაზრის დაცვას; მიწის გაყიდვის შეზღუდვას; რუსული სანომრენიშნიანი მანქანების აკრძალვას; რუსული კომპანიებისთვის სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის აკრძალვას; რუსული ბიზნესისთვის საოკუპაციო მოსაკრებლის დაწესებას; ფრენების აკრძალვას; რუსული სატელევიზიო არხების მაუწყებლობის აკრძალვას და რუსული ფონდების აკრძალვას.

– საქართველო ერთადერთი ოკუპირებული ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ოკუპანტები იგივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც ჩვენი მოქალაქეები, – აღნიშნა „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ.

• • •

## ევროპარლამენტის რეზოლუცია

თამაზ გინტურის მკვლელობაზე საქართველოს პარლამენტს რეზოლუცია არ მიუღია. ეს საკითხი პარლამენტის ბიუროში დარეგისტრირდა, თუმცა შემდგომი მსვლელობა ჯერ არ მოჰყოლია. გასულ კვირაში რეზოლუცია ამ თემაზე ევროპარლამენტმა დაამტკიცა.

ევროპარლამენტის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ თამაზ გინტურის მკვლელობა, ისევე, როგორც არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიას და დავით ბაშარულის სასტიკი მკვლელობები, ასევე ირაკლი კვარაცხელიას დაღუპვა, რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პირდაპირი შედეგია.

რეზოლუციის ავტორები მოითხოვენ თამაზ გინტურის მკვლელობის საფუძვლიან გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას.

ევროპარლამენტის რეზოლუციისთვის ამ დღეებში ქართველი პოლიტიკოსები მადლობას იხდიდნენ.

– ევროპამ საქართველოს მიმართ კიდევ ერთხელ აჩვენა ურყევი მხარდაჭერა – ასე გამოეხმაურა რეზოლუციას პრეზიდენტი ზურაბიშვილი.

უმრავლესობის წევრმა ბექა ოდიშარიამ მადლობას ერთი ფრაზაც მოაყოლა:

– რეზოლუციები არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ განცხადებას განცხადებისათვის, ოკუპანტის მიმართ უბრალოდ გასროლილ სიტყვებს, რომელიც არ ვიცი, რა შედეგის მომტანია.

– ევროპარლამენტის იმედი მაქვს. ვიცი, რომ გამოიძიებს, – განაცხადა „რეაქციაში“ მოკლული თამაზ გინტურის ძმამ, გივი გინტურმა.

გივი გინტურმა ოკუპანტი რუსეთის გარდა, მომხდარზე პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობასაც დააკისრა:

– მარტო რუსეთის არა, პირველ რიგში, ჩვენი მთავრობის პასუხისმგებლობაა.

გასულ კვირაში პოლიტიკოსები რუსეთის ინტერესების გატარებაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ.

– ახალი ვარდები გვჭირდება იმისათვის, რომ ჩრდილოური ვექტორიდან შემოვაბრუნოთ საქართველო, – აღნიშნა ნაციონალური მოძრაობის გენმდივანმა პეტრე ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის წევრი გია ცაგარეიშვილი საუბრობდა ნაციონალური მოძრაობის მმართველობაზე:

– ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე, ყოველი წუთი, პუტინისა და რუსეთის საქმის კეთება იყო.

ცაგარეიშვილმა გაიხსენა მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებები, რომლითაც, კოდორის ხეობას დაერქვა ზემო აფხაზეთი და შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია. იმ მომენტში კოდორს და ახალგორს თბილისი აკონტროლებდა.

– ღალატი განსაკუთრებით მაშინ იყო, როდესაც იქ (კოდორში) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები შეიყვანეს, თითქოს გაამაგრეს იქაურობა, – აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

• • •

## ნაციონალური მოძრაობის მანიფესტი და „ვარდების რევოლუციის“ იუბილე

23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ მე-20 წლისთავი ნაციონალურმა მოძრაობამ მასშტაბურად იზეიმა. კლინიკა „ვივამედში“ მყოფმა ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა გაავრცელა მიმართვა.

– ჩვენ უნდა განვახორციელოთ ტოტალური შეტევა ოლიგარქატზე, – ასეთი იყო მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი გზავნილი.

როგორც წინასწარ დაანონსდა, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო მანიფესტზე ხელმოწერების კამპანია. მისი ტექსტი 22 ნოემბერს გასაჯაროვდა. მანიფესტის იდეა მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. მანიფესტის საკვანძო საკითხი პარტიის ერთიანობაა. სააკაშვილმა ადრევე გამოაცხადა, რომ ვინც მანიფესტს ხელს არ მოაწერს, პარტიის გარეთ აღმოჩნდება. მანიფესტს ხელი ბევრმა არ მოაწერა. მათ შორის, პარტიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ.

24 ნოემბერს გავრცელდა სააკაშვილის კომენტარი, სადაც საუბარია იმაზე, რომ უნდა გაფართოვდეს პარტიის პოლიტსაბჭო და მასში უნდა დაბრუნდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებსაც დამსახურება მიუძღვით. ეს მოსაზრება მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებამ აღიქვა, როგორც მელიას მიმართ პოზიციის შერბილება.

სააკაშვილმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ პოლიტსაბჭოს კოორდინატორობა ითავა, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირველობის ამოცანაც დაუსახა.

– პირველი ადგილისთვის რომ იბრძოლოს, ამისთვის მიხეილ სააკაშვილს ბევრი ზღაპარი აქვს მოსაყოლი, – მიაჩნია „გირჩის“ ლიდერს, იაგო ხვიჩიას.

– არავინ იცის, რა რეიტინგით მივა 2024 წლის მიწურულს ნაცმოძრაობა, – ამბობს უმრავლესობის წევრი დავით მათიკაშვილი.

მისი შეხედულებით, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე „ხელოვნური ინტერვენციებით“ საზოგადოებას ვერ მოატყუებენ.

– მცდელობა, შექმნან სცენა და ვითარება, მოატყუონ საზოგადოება, თითქოს ნაცმოძრაობაში რაღაც ჯანსაღი პროცესები მიდის, ეს არის მართლაც სასაცილო, – ასკვნის მათიკაშვილი.

ნიკა მელიამ (მანიფესტამდე) უფლებამოსილი ნდობის საბჭოს შექმნის იდეა წამოაყენა, ხალხში ხელმოწერები (40.000 ხელმოწერა) შეაგროვა. მისი იდეა მოწინააღმდეგეებმა არ გაიზიარეს. პარტიაში ცალკე მოთამაშედ აღიქმებოდა სოფო ჯაფარიძე, რომელიც სააკაშვილმა გამოაცხადა თავის წარმომადგენლად და ხალხთან (საქართველოში და საზღვარგარეთ) შეხვედრები დაავალა.

– თუ მანიფესტზე ხელის არმოწერის გამო ვინმეს პარტიიდან რიცხავენ, ეს ძალიან მძიმე იქნება, – ასე შეაფასა სიტუაცია ხატია დეკანოიძემ, რომელიც კარგა ხანს იყო ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი აზრით, „მანიფესტით თუ მანიფესტის გარეშე, პარტიაში არსებობს პრობლემები, რომლებიც არსად გამქრალა“.

• • •

## გოგა ხაინდრავა სააკაშვილის წინააღმდეგ მასალების პროკურატურისთვის გადაცემას აპირებს

კინორეჟისორმა გოგა ხაინდრავამ გასულ კვირაში კიდევ ერთხელ წამოსწია ბადრი პატარკაციშვილის საეჭვო გარემოებებში დაღუპვის საკითხი.

ხაინდრავა აღნიშნავს, რომ სამი სხვადასხვა წყარო ადასტურებს, რომ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა სააკაშვილმა შეუკვეთა.

– მზად ვარ, სასამართლოს და პროკურატურას გადავცე მასალები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს, – განაცხადა ხაინდრავამ.

• • •

## პრეზიდენტი საზოგადოებასთან შეხვედრებს განაგრძობს

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომლის ორგანიზებით ტარდება ხელმოწერების კამპანია „ჩვენი ხმა ევროპას“, განაგრძობს შეხვედრებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან.

ახალგაზრდებთან გამართულ შეხვედრაზე ის შეეხო ევროკომისიის პოზიტიურ დასკვნას ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის თაობაზე საქართველოს შესახებ. ეს გადაწყვეტილება ევროკომისიამ 8 ნოემბერს მიიღო.

პრეზიდენტის თქმით, ევროკომისიის გადაწყვეტილებაში ახალგაზრდების დიდი წვლილია და რომ არა 8 მარტის გამოსვლები, ევროპიდან საქართველოში დანახული დროშები და თავისუფლების ტალღა, ალბათ, „ცოტა დაფიქრდებოდნენ, არ მიიღებდნენ ამ გადაწყვეტილებას“.

სალომე ზურაბიშვილის სიტყვებით, 8 ნოემბერს პირველი გამარჯვება იყო. ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. ამიტომ საჭიროა საზოგადოების მობილიზაცია.

• • •

## პროტესტი რაჭის ტყის გამო

მთავრობაში აცხადებენ, რომ თვის ბოლოს გააუქმებენ სამონადირეო ლიცენზიას რაჭის ტყეზე. ლიცენზია 2022 წელს 49 წლით გაიცა. ტყე იჯარით დაიმტკიცა ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა.

მიუხედავად ამ დაპირებისა, პროტესტი ამ ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნით გასულ კვირაშიც გრძელდებოდა და დედაქალაქშიც გადმოინაცვლა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ „რიონის ხეობის გადარჩენისათვის“ მოძრაობის წევრები.

მისმა წარმომადგენელმა ვარლამ გოლეთიანმა განაცხადა, რომ ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირების შესრულების იმედი არ აქვთ და აქციებს ამის გამო მართავენ.

• • •

## სამშენებლო ამნისტია

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში არიან მოქალაქეები, რომლებმაც სახლები სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე აიშენეს. ასეთი საცხოვრებლის ლეგალიზება აქამდე საკმაოდ გაჭიანურებული და ძვირი პროცედურა იყო.

გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ღარიბაშვილმა იუსტიციის მინისტრს დაავალა სამშენებლო ამნისტიის პროექტის მომზადება. ის შეეხება ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელს. მოქალაქეები, რომლებსაც ასეთი ტიპის სახლები აქვთ, ამნისტიის შემდეგ აღარ იქნებიან ვალდებული, გაიარონ ლეგალიზების რთული პროცედურა.

ეკონომიკა

## ირაკლი ღარიბაშვილი ილჰამ ალიევს ბაქოში შეხვდა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მელიც, შეიძლება ითქვას, უნიკალურ პლატფორმად ჩამოყალიბდა სექტორული თანამშრომლობისთვის და ჩარჩო ინიციატივად იქცა რეგიონში სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, – განაცხადა ღარიბაშვილმა SPECA-ს ცენტრალური აზიის ქვეყნების მეთაურთა სამიტზე მიმართვისას.

მისი განცხადებით, აზერბაიჯანი საქართველოსთვის ღირებული მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორია.

– ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენს ერებს შორის მრავალსაუკუნოვანი, მეგობრობაზე დაფუძნებული ურთიერთობა უმაღლეს დონეზეა. ძვირფასო კოლეგებო, ამჟამინდელმა გეოპოლიტიკურმა კონტექსტმა გაზარდა ჩვენი რეგიონის, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო და ლოგისტიკური ცენტრის, როლი, რაც ხელს უწყობს ტრანსპორტისა და ლოგისტიკური კავშირების გაუმჯობესებას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მარშრუტზე ვაჭრობის დივერსიფიკაციისა და გაფართოების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით ეგრეთ წოდებული „შუა დერეფანი“ ხდება ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი და არსებული მარშრუტების საინტერესო ალტერნატივა. შუა დერეფანი ევრაზიის კონტინენტზე პოზიციონირდება, როგორც ტვირთებისა და ნახშირწყალბადების რესურსების მიწოდებისთვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე სწრაფი, ეკონომიური და საიმედო არხი. ამიტომ აზერბაიჯანელ და ყაზახ კოლეგებთან ერთად, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ამ კორიდორში არსებული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად და ყურადღებას ვამახვილებთ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, გამტარუნარიანობის გაზრდაზე, პროცედურების გამარტივებასა და ერთიანი სატარიფო სისტემის დანერგვაზე.

დაკავშირებადობის ხელშეწყობას ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ქვეყანას აქვს ძალიან საინტერესო სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა და ასევე მიმზიდველი ბიზნესგარემო. საქართველო უკვე თამაშობს მნიშვნელოვან როლს აღმოსავლეთ-დასავლეთის დაკავშირებადობაში და მისი საერთო პოზიტიური ეკონომიკური, ბიზნეს და ინსტიტუციური პერსპექტივა შეესაბამება ჩვენს მიზანს, რომ უზრუნველყოს სტაბილურობა და კეთილდღეობა მთელ რეგიონში.

ჩემი მთავრობა მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს მასშტაბურ პროექტებში რეგიონული ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით. ბოლო წლებში ინვესტიციები განხორციელდა ქვეყნის საავტომობილო გზების, რკინიგზისა და აეროპორტების განახლებაში, ასევე ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავებაში.

ჩვენ ახლა ვმუშაობთ ახალი პროექტის განხორციელებაზე, რომელიც არის ახალი პორტის მშენებლობა ანაკლიაში. საბოლოო ეტაპზე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სიმძლავრე იქნება 100 მილიონი ტონა წელიწადში.

ასევე, ჩვენ ერთობლივად ვმუშაობთ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროენერგიის კაბელის პროექტზე, რომელიც წამოვიწყეთ და რომელზეც ჩვენ გასულ წელს დეკემბერში ბუქარესტში მოვაწერეთ ხელი საქართველოს, აზერბაიჯანის, უნგრეთისა და რუმინეთის ლიდერებმა. ვფიქრობთ, ეს პროექტი ძალიან საინტერესო იქნება არა მხოლოდ ჩვენი რეგიონის, არამედ ევროპისთვისაც, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერის განცხადებით, „ჩვენი მთავრობის მთავარი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი და მსოფლიო არასტაბილურობით გამოირჩევა უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების გამო, ჩვენმა მთავრობამ ხსენებული მიზნების მიღწევა ჩვენი პრაგმატული, გააზრებული საგარეო და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად შეძლო.“

– ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდა 10%-ით, 2021 და 2022 წლებში 10%-ზე მეტი გვქონდა ეკონომიკური ზრდა. ეს ტრენდი შენარჩუნებულია წელსაც – 7%-იანი ზრდა გვაქვს მიმდინარე პერიოდში. ინფლაცია არის ძალიან დაბალი – 1%-ზე ნაკლები.

მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი იქნება 8,000 აშშ დოლარზე მეტი, რაც არის ბოლო სამ წელიწადში გაორმაგება ამ პარამეტრის. მინდა ვთქვა, რომ 2024 წელს 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მშპ იქნება 8500 აშშ დოლარზე მეტი.

მინდა ასევე აღვნიშნო, რეგიონში ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთსა და ევროკავშირთან.

მე მინდა გითხრათ, რომ საქართველო არის დაინტერესებული, კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ ჩვენი პარტნიორობა, ჩვენი თანამშრომლობა აზერბაიჯანთან, ცენტრალური აზიის რეგიონთან, რაც მოიტანს მეტ კეთილდღეობასა და სტაბილურობას ჩვენი ქვეყნებისთვის, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

# „მშვიდი სახე აქვს შარტავას. თავისი დაცვის ბიჭებს ისე წყნარად ესაუბრება, თითქოს სოხუმის ირგვლივ ქორწილის მაყრიონია"

**ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან. ის სოხუმის დაცემის ტრაგიკულ დეტალებზე გვიამბობს. ინტერვიუ ჟურნალ „გუმბათში" გამოქვეყნდა.**

**დოდო გუგეშაშვილი:**

– „ხომ კარგად ხარ?" – მეკითხება შევარდნაძე. შესაფერისი პასუხი არა მაქვს. ბატონ ჯაბას ვკითხულობ. ფუნიკულიორის შეტევაზეაო, – მპასუხობენ. ვიდრე შტაბიდან გამოვვარდები, შევარდნაძე თბილ სიტყვებს არ იშურებს ჩემთვის. ფუნიკულიორის ტერიტორიაზე გენო ადამიასა და ჯაბა იოსელიანს ვნახულობ. გენოს ხელი აქვს შეხვეული, მხნედ უჭირავს თავი. ბატონი ჯაბა გეგმას მიწონებს ბირცხიდან შეტევაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ საარტილერიო ჭურვებზე კარგად არ გვაქვს საქმეო, – მეუბნება. რამეს მოგიხერხებო, ვიდრე ისევ გავქანდები ზემო ბირცხისკენ, მპირდება.

წავედითო, – უცებ დაიძახა იოსელიანმა და წინ, სეპარატისტების პოზიციებისკენ გაქანდა ბიჭებთან ერთად. გენო ადამიაც გასწვრივთა ხაზით შევარდა შუა ქარცეცხლში. ისევ უკონტროლო გზით მივქრივარ. ხელში ავტომატი და ხელყუმბარა მიჭირავს. გულზე, მედალიონთან ერთად, გახვრეტილი ტყვია მაქვს ჩამოკიდებული. ტყვედ ჩავარდნის საშიშროების შექმნის შემთხვევისთვის, საკუთარი შუბლი ყველაზე ახლოსაა. მივაღწიე ბირცხამდე. ორი ინფორმაცია მხვდება: სამი მხრიდან გარშემორტყმული მტრის გამო, რომ მათ შეიარაღება არ ჩავარდნოდათ ხელთ, ადგილობრივებს სოფლის შუაგულში, ტყვია-წამლის საწყობი აუფეთქებიათ და მეორე ინფორმაცია: მიუხედავად იმისა, რომ ჩემს დაბრუნებამდე არ უნდა გადაადგილებულიყვნენ, რამდენიმე ბიჭი მაინც გასულა მიმდებარე ტერიტორიაზე შემოვლაზე. სეპარატისტების 20-კაციან რაზმს გადაყრიან. შეტაკებისას ნუგზარ ჯაფარიძე და ტყეშელაშვილი დაჭრილან. ვერ მიკარებია გორელი ბიჭი გამოსაყვანად, გამოქანდა ჩვენსკენ, რომ გაგვაგებინოს დაჭრილების ადგილსამყოფელი.



სასწრაფოდ გამყავს რაზმი ბიჭების გამოსაყვანად. გოგა ჭყონიაც მოგვყვება. „დარჩი, საშასავით დაილუპები", – ვეუბნები გოგას. „ბედნიერი ვიქნები, თუ საშასავით"... – მპასუხობს შეუპოვრად. კატის სიფრთხილით შევდივართ სეპარატისტების პოზიციებს შორის, უკვე დაცხრილულ ბიჭებს ვპარავთ ჩვენს მომლოდინე, ჩასაფრებულ მტერს. ნუგზარ ჯაფარიძე გაგრაშიც ჩვენ გვერდით იბრძოდა. დინჯი, საოცარი ბიჭი, სიმამაცით და ოპტიმიზმით სავსე, წინაპრების საძვალეს შერწყმოდა. ვიქტორ შაფათავას მეგობარი, პატარა, მაგრამ უკვე დიდი ტყეშელაშვილი, ისე გაბედულად ერთვებოდა შეტევებში, თითქოს ახალბედა კი არა, გამობრძმედილი მეომარი იყო. ტყეშელაშვილსაც და ჯაფარიძესაც, სახეზე ნათელი ჰქონდათ გადაფენილი!

ბირცხაში აღარ არიან ჯომიდავას მეომრები. ჩვენი ასვლიდან მეორე დღეს გამოვიდნენ. თვითონ სოსოს ძმა სოხუმის დაცვას შეეწირა. ჩვენი თვითმფრინავი ჩამოაგდეს რუსებმა ლამის ჩვენ თვალწინ. ბოთლიდან ამოვარდნილი ბოროტი ჯინივით ავარდა შავი ბოლი თვითმფრინავიდან, მერე ცეცხლის უზარმაზარი ბურთი აიჭრა პირქუში ცისკენ. საოცარი მფრინავები ჰყავდა ჩვენს ავიაციას. მსოფლიო დონის ვირტუოზები. გმირობის და თავგანწირვის ნიმუშის, ჯიმი მაისურაძის მეთაურობით.



***– სოხუმის დაცემამდე დრო მცირდება; თქვენ ისევ ზემო ბირცხაში რჩებით თუ რომელიმე პოზიციაზე გადაყავხართ?***

– მაღლობზე, კლდის სიღრმიდან ტანკი გამოდის, ბომბავს ქვედა პოზიციებს, ისევე სიღრმეში შედის. როგორც ჩანს, ომის განახლებამდე დამალეს სეპარატისტებმა ის ტანკი მათთვის ძალიან ხელსაყრელ ადგილას. ტანკს თავზე ქუდივით ახურავს პირქუში კლდის ზედა ნაწილი. დავგეგმეთ იმ ტანკის აფეთქება. გავიდნენ ბიჭები ყუმბარმტყორცნებით. ზემოდან მოუარეს კლდეს, ხოხვით ჩაყვნენ შუა წელამდე. მერე დააყარეს ჭურვები. აფუთფუთებული ტანკი გაჭყლეტილი მატლივით გასკდა და „ნაწლავები" გამოყარა. დაბლოტილ-დასისხლიანებული ბიჭები გახარებულები დაბრუნდნენ. ყიჟინით შევეგებეთ. თითო მჭიდიც ვაჩუქეთ. მერე იოსელიანის დავალება მივიღეთ სადგურის გამაგრების შესახებ. მოვიხსენით ბირცხიდან (იქ უკვე კარგად აქვთ გამაგრებული ადგილობრივებს) და სადგურისაკენ მივდივართ. თექვსმეტ სართულიანებთან გლდანის საძმოელი მაისურაძე იღუპება, ბიჭებისგან ნუკრი ცისკაძის ბიძაშვილის დაღუპვის ამბავსაც ვიგებ. სადგურის მიმდებარედ გიო შიოშვილს ბიჭები დაუცხრილეს სეპარატისტებმა. პირველად ზღვა შიოშვილის კახელებმა აფხაზეთში ნახეს. ველარ მოესწრნენ ზღვის სილამაზით ტკბობას.

რომელიღაც ქუჩაზე მითხრეს, უკვე მთავრობის სახლთან არიანო. ახლა იქით გავრბივართ. ახლო-მახლო რაღაც რაზმს ვაწყდებით. პოზიციას არც ვიკავებთ, განუწყვეტელი სროლით ვაიძულებთ ჩაწოლას. მერე ჩოლოყაშვილის ნაწილი ადგილზევე ტოვებს იმ მცირერიცხოვან გადამთიელებს.

შევვარდით პირველ სართულზე ან უკვე იყო შეტაკება, ან ცრუ განგაშია. მიშა საბახტარაშვილი მხვდება მხედრიონელებთან ერთად. ჩანს, ჩვენზე ადრე მოასკდნენ აქაურობას. გარკვევის დრო არაა, სადგურზე უნდა შევიდეთ. მაინც არ მითმენს გული, ჟიულის ოთახისკენ მიდივარ. კარებთან კასპელი მხედრიონელის, პაატა თათრიშვილის ძმას ვხვდები. ბოლი ასდის ტანიდან. ახლახანსაა ნამყოფი ბრძოლის ქარცეცხლში.

მშვიდი, თან ყოვლად შეუდრეკელი სახე აქვს შარტავას. თავისი დაცვის ბიჭებს ისე წყნარად ესაუბრება, თითქოს სოხუმის ირგვლივ გადამთიელთა ურდოები კი არ არის შემოწყობილი, არამედ ქორწილის მაყრიონი.

მერე მე ჩემს რაზმთან ერთად ისევ სადგურისკენ გავრბივარ. გარაჟებთან ვმაგრდებით. გასწვრივ გიო ხვიჩია და სხვა მხედრიონელები არიან. ჩემსა და გიოს პოზიცებს შორის ღია სივრცეა. ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი სიცოცხლის ფასად დაგვიჯდება. ქალაქი შეუსვენებლივ იბომბება. ჯვარედინად ხნავენ ჭურვები სოხუმის ბებერ მიწას. ჩვენი პოზიციების წინა მხრიდან რუსები დშკ-თი (საზენიტო მსხვილკალიბრიანი დანადგარი) განუწყვეტლივ მუშაობენ ჩვენი მიმართულებისკენ. გიო ხვიჩია ახალ გზაზე გადის დასაზვერად. მოფარებულში, რუსი სამხედროებით სავსე 20 ავტობუსს, 72 ტანკს, რამდენიმე ბმპ-ს აწყდება. როგორც ჩანს, ყველგან არიან გაყურსული რუსები. მათი გეგმის შესაბამისად, 3 დღეში უნდა აეღოთ სოხუმი. არ გამოუვიდათ. ახლა ისევ შესაფერის დროს ელოდებიან. გიო ჯაბა იოსელიანის მოსაძებნად მიდის, რომ ნანახის შესახებ აცნობოს.

იოსელიანი პოზიციაზეა. შევარდნაძეს აგებინებს ხვიჩია ნანახის შესახებ. ქალაქში რიაზანის და ფსკოვის დივიზიებია შემოსული და სხვადასხვა ადგილას, შეფარვით არიან. ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებს და ტექნიკას ითხოვს გიო. არც ჭურვებია, ტექნიკის მაგვარი კი ერთი დაფეხვილი „ბრდმი" (ფეხოსანთა სადესანტო საბრძოლო მანქანა) არის, რომლის წამოყვანას აზრი არა აქვს. სადგურში ერთი ზიარი „ბმპ" გვყავს. იეზიდი „კნიაზი" შესაშური სიმამაცით ამუშავებს. რუსების ბმპ შემოვარდა სადგურში. 17 წლის კახელმა ბიჭმა ხელყუმბარა შეუგდო. ლამის ნაფლეთებად იქცა თვითონაც. ფეხში იჭრება ხვიჩია. არ გამოდის ბრძოლიდან. გააფთრებულებმა შემოგვიტიეს. ჩემ გვერდით სოხუმში შემომატებული გია ბერძენა იბრძვის თავგანწირვით. გუდაუთამდე თქვენთან ერთად წამოვალო, თითქოსდა დაქადნებით ამბობს. თვალს კარგავს გიო, ბაჭიას გამოყავს მძიმედ დაჭრილი.

თითოეულ ტყვიას თვალის ჩინივით ვუფრთხილდებით. ავტომატურიდან „ადინოჩნიზე" გადაგვყავს იარაღი. ქალაქში უკვე გახშირდა პოზიციებიდან თვითნებურად მოხსნის შემთხვევები. რაციით გამოსვლის ბრძანება გადმოგვეცესო, თუმცა ტყუილია თუ მართალი, არავინ უწყის. სისხლში ცურავს სოხუმი. ჰაერი გაჯერებულია დენთისა და სისხლის სუნით. თითოეული ჩვენთაგანის სხეულში სიკვდილია ჩასაფრებული. ჭაბუა ამირეჯიბის მეორე შვილი ჩემ გვერდითა პოზიციაზე იბრძვის. გამაყრუებელ გრუხუნს ვიღაცის მოგლეჯილი ხელი გამოჰყვა. თვალს ვარიდებ. ალყაშია სოხუმი. ჩვენ და სოხუმმა ახლა ერთმანეთს უნდა ვუშველოთ. საქართველოა სოხუმში განსხეულებული. ლანგარზე გვიდევს საკუთარი სიცოცხლე სოხუმსაქართველოსთვის დაუნანებლად მისართმევად. მაგრამ ჩანს, არაა საკმარისი. სიცოცხლის გარდა კი, გასალები, სხვა არაფერი გაგვაჩნია!

მაიაკზე გასვლის ბრძანებას ვიღებ იოსელიანისგან. ჩემი რაზმით ახლა მაიაკისკენ მიდივარ. ღამის სიბნელეში, კორპუსების აივნებზე და კუთხეებში ვაყენებ პოზიციებს. დიდი ხნის მიტოვებულს ჰგავს კორპუსები. ჩამიჩუმი არ ისმის. როგორც კი ინათებს, მერე უფრო კარგი პოზიციები შევარჩიოთ, – მეუბნება ჩემი ძველი მეგობარი მაჭავარიანი. ვეთანხმები უსიტყვოდ.

**კალეიდოსკოპი**

## ამერიკაში ყველაზე აგრესიული ცხოველების შემოსევა იწინასწარმეტყველეს



აშშ-ში სამხრეთ კანადიდან ძალიან აგრესიული სუპერტახების შემოსევა იწინასწარმეტყველეს.

ექსპერტები თვლიან, რომ სამხრეთ კანადაში ტახების პოპულაციის ელვისებური ზრდა ამერიკის ჩრდილოეთის შტატებს ნამდვილ შემოსევას უქადის. აღსანიშნავია, რომ კანადურ ტახებში ერთმანეთშია შერწყმული გარეული ცხოველის თვითგადარჩენის უნარი და ზომები და შინაური ღორის გამრავლების უნარი. ფაქტიურად, იქ წარმოიშვა ახალი პოპულაცია, რომლებსაც სპეციალისტები სუპერტახებად მოიხსენიებენ.

სასკაჩევის უნივერსიტეტის პროფესორმა რაიან ბრუკმა კანადურ ღორებს პლანეტაზე ყველაზე აგრესიული ცხოველი უწოდა და მათი სწრაფი გამრავლება ეკოლოგიურ კატასტროფას შეადარა. აშშ-ში ტახები ფერმერებს ყოველწლიურად 2,5 მილიარდი დოლარის ზარალს აყენებენ. რაიან ბრუკი კი დარწმუნებულია, რომ კანადური ტახების შემოსევა ვითარებას კიდევ უფრო მეტად გააუარესებს.

ასევე, როგორც ბრუკმა აღნიშნა, ტახებთან ბრძოლის ტრადიციული საშუალებები მათ პოპულაციას მნიშვნელოვან ზიანს ვერ აყენებს და ის ზრდას აგრძელებს. მეცნიერებმა სუპერტახების ყველაზე დიდი რაოდენობის თავმოყრა კანადის პროვინციების მანიტობას და სასკაჩევანის და ამერიკის ჩრდილოეთ დაკოტას შტატის საზღვარზე დააფიქსირეს.



## მონასტრის წინამძღვარმა ფული მიითვისა და გაიქცა

ტაილანდში დიდი მონასტრის წინამძღვარმა მორწმუნეთა მიერ გაღებული შემოწირულობები 4,7 მილიონი ბატი მიისაკუთრა და მიიმალა.

სუპხანბურის პროვინციის ერთ-ერთი დასახლებიდან პოლიციამ 20 ნოემბერს ადგილობრივი მონასტრის ბუღალტრისგან მიიღო შეტყობინება. მისი განცხადების თანახმად, სამი დღით ადრე მონასტრის წინამძღვარმა შემოწირულობები წაიღო და გაუჩინარდა. მაღალი რანგის სასულიერო პირმა განაცხადა, რომ შემოწირული თანხა ბანკში მონასტრის ანგარიშზე შესატანად მიჰქონდა. თუმცა ფული ბანკში არ მიუტანია და მას შემდეგ თავადაც აღარ გამოჩენილა.

ბუღალტერმა, გვარად ვონგჩანგმა, შემოწმება დაიწყო და აღმოაჩინა, რომ წინამძღვარმა არა მხოლოდ შემოწირული 700 ათას ბატზე მეტი წაიღო, არამედ მონასტრის ანგარიშიდან 300 ათასი ბატიც მოხსნა. გარდა ამისა, მან მიმალვის წინ 40 ადგილობრივი მცხოვრებლისგან სოლიდური თანხა ისესხა. სულ კი მან თითქმის ხუთი მილიონი ბატი მიისაკუთრა.

ბუღალტრის თქმით, წინამძღვრისგან ასეთ საქციელს არავინ მოელოდა, ვინაიდან ის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა და მონასტრის შესანიშნავ ხელმძღვანელად ითვლებოდა.

მომხდარით გაოგნებულები არიან ადგილობრივებიც, თუმცა მაინც იმედი აქვთ, რომ ის, უბრალოდ, სადღაც შეფერხდა და მალე დაბრუნდება. თუმცა ისეთებიც არიან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ბოლო დროს წინამძღვარს ნერვიულობა ეტყობოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**მედიცინა**

## სასუნთქი გზების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

### ხველა

– ხველა თუ გაწუხებთ, იხმარეთ ერთი ეფექტური საშუალება, რასაც ხალხური მედიცინა გვთავაზობს და რაც მრავალი თაობის მიერაა შემოწმებული. ნელ ცეცხლზე 10 წუთი ხარშეთ 1 ცალი ლიმონი. იგი დარბილდება და მეტ წვენს გაუშვებს. ლიმონი შუაზე გაჭერით, გამოწურეთ საწურით. წვენი ჭიქაში ჩაასხით, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი გლიცერინი, კარგად აურიეთ და შემდეგ ჭიქა პირამდე შეავსეთ თაფლით. ლიმნის მაგივრად შეიძლება ვაშლის ძმარი გამოიყენოთ.



❖ ❖ ❖

– ხველების საწინააღმდეგო ნარევის მიღების დოზა განისაზღვრება მდგომარეობის მიხედვით. თუ იშვიათი ხველა გაქვთ, მაშინ დალიეთ დღეში 1 ჩაის კოვზი დალამებამდე და 1 – ღამით. თუ ძლიერი ხველა გაწუხებთ, მაშინ დალიეთ 1 ჩაის კოვზი დილით ადგომისთანავე, კიდევ 1 – სადილობამდე. 1 – სადილის შემდეგ და კიდევ თითო კოვზი სალამომდე ნავახშმევს და ძილის წინ. ხველების შესუსტებასთან ერთად შეამცირეთ მიღების რაოდენობა. ეს ხველის საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მას არაერთი უპირატესობა აქვს: არ იწვევს კუჭის აშლილობას, რაც ბევრ სხვა საშუალებას ახასიათებს. იგი შეიძლება ვურჩიოთ როგორც დიდებს, ასევე ბავშვებს; შედეგიანია იმ შემთხვევაშიც, როცა წამალი არ შველის.

❖ ❖ ❖

მშრალი ხველის დროს – აადუღეთ 2 სუფრის კოვზი წიწაკის ძირები 2 ჭიქა თეთრი ყურძნის ღვინოსთან ერთად. გაწურეთ. უნდა სვათ ცხელი სამჯერ დღის განმავლობაში. ამასთან დამატებით ყოველ დილით მიირთვით შემდეგი ნარევი: ერთი თავი ხახვი, ერთი სუფრის კოვზი ბატის ან ღორის გამდნარი ქონი.

❖ ❖ ❖

ხველის დროს – ისარგებლეთ ვაშლის ფოთლის ნაყენით, ან ანტონოვკის ჯიშის შემწვარი ვაშლით. მიიღეთ ცხლად. უმჯობესია ცაცხვის თაფლით დამტკბარი. ღამით შეიძლება გაიკეთოთ დაკეპილი ნივრის საფენი, ოღონდ მკერდსა და ზურგზე წაისვით თაფლი. ჩაიცვით თბილი გრძელსახელოიანი მაისური და დაიძინეთ.

❖ ❖ ❖

ხველის პროფილაქტიკის რამდენიმე მეთოდი:

ერთი კილო თეთრი ხახვი დაჭერით წვრილად, დააყარეთ ნახევარი კილო შაქარი და დადგით ერთი დღე-ღამე, გაწურეთ და მიიღეთ სამჯერ დღეში თითო სუფრის კოვზი.

❖ ❖ ❖

სამი ძირი ვირისტერფა ხარშეთ სამ ლიტრ წყალში, ვიდრე წყლის რაოდენობა ერთ ლიტრამდე არ შემცირდება. მიიღეთ დღეში 4-ჯერ არყის ჭიქით.

❖ ❖ ❖

– შეურიეთ 1 სუფრის კოვზი თაფლი 1 ლიმნის წვენს, ჩააგდეთ 2 ახალი კვერცხი, კარგად აურიეთ. სვით მთელი დღის განმავლობაში ყლუპობით.

❖ ❖ ❖

100 გრამი ძირტკბილა ხარშეთ ნახევარი საათი სამ ჩაის ჭიქა წყალში. მიიღეთ დღეში სამჯერ სუფრის კოვზით. ეს დოზა საკმარისია მოზრდილთათვისაც.

# ბაიდენი მძევლების გათავისუფლებას მიესალმა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ჰამასის ექსტრემისტების მიერ მძევლების გათავისუფლებას მიესალმა. მან განაცხადა, რომ ეს ყოველივე ამერიკელი დიპლომატების მიერ გაწეული სამუშაოს შედეგია.

– ეს მხოლოდ დასაწყისია! წინ კიდევ ბევრი სამუშაოა! – ამბობს ბაიდენი.

# ზელენსკიმ რუსეთთან ომის მოგებისათვის აუცილებელი სამი ღონისძიება დაასახელა



უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დაასახელა სამი ღონისძიება, რაც რუსეთთან ომის მოგებისათვის აუცილებელია. ესენია:

1) უკრაინის შეიარაღებული ძალების ეფექტურობის ამაღლება;

2) აშშ-ის კონგრესის მიერ უკრაინისათვის აუცილებელი დაფინანსების უზრუნველყოფა;

3) ევროკავშირის მიერ უკრაინისათვის დაპირებული თანხის გამოყოფის დაჩქარება.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელი ხალხი რუსეთთან რაიმე კომპრომისს უარყოფს. თანახმად კიევის სოციოლოგიური ინსტიტუტის მონაცემებისა, უკრაინელთა 87% რუსეთისათვის უკრაინული ტერიტორიების დათმობის წინააღმდეგია. ამავე დროს უკრაინის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის პარლამენტშიც, რუსეთთან დაზავების მომხრენი გააქტიურდნენ. მათგან უნდა გამოვყოთ რუსეთის გავლენის აგენტები: პრეზიდენტ ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელი ერმაკი, მმართველი პარტიის „ხალხის მსახური“ ერთ-ერთი ლიდერი არახამია, უკრაინის პარლამენტის წევრი შევჩენკო და ა.შ.

# ლუკაშენკო ბელორუსიდან გაქცევას აპირებდა?



როგორც ცნობილია, 2022 წელს რუსეთი უკრაინას ბელორუსის ტერიტორიიდანაც დაესხა. ამას წინ უსწრებდა რუსეთ-ბელორუსის დიქტატორების შეხვედრა. პუტინმა ლუკაშენკო მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა: ბელორუსში რუსული არმიის დამატებითი ნაწილების განთავსება. ისინი კიევზე გაილაშქრებდნენ. ლუკაშენკომ პუტინს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია.

ლუკაშენკომ პირდაპირ განაცხადა, რომ რუსები მას მინსკის აეროპორტიდან აფრენის უფლებას

არ მისცემდნენ, ამიტომ, როგორც ცნობილია, მოსკოვს კიევზე ლაშქრობა ჩაეშალა. წარმოიქმნა საფრთხე, რომ უკრაინული არმია ბელორუსში შეიჭრებოდა და მინსკს აიღებდა. ლუკაშენკომაც აამოქმედა თავისი ფარული კავშირები.

– ის დაუკავშირდა პოლონეთის პრეზიდენტ დუდას და განუცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ბელორუსის დატოვებას ავტომობილით აპირებდა. დუდამ თანხმობა განაცხადა, რომ ბელორუსი დიქტატორი პოლონეთის ტერიტორიაზე გაეტარებინა, – იტყობინება პოლონეთის რადიო.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ფრონტებზე ბრძოლებია. ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.502; არტილერია – 7.851; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა – 596; თვითმფრინავები – 323; ვერტმფრენები – 324. განადგურებულია 323.760 ოკუპანტი;

უკრაინელთა დანაკარგებია 55.000 ჯარისკაცი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# რუსებმა ბიჭვინთაში ქართული ტაძარი თეთრად გადალებეს

ბიჭვინთაში რუსებმა X-XI საუკუნეების ქართული ტაძარი რუსულ ყაიდაზე თეთრად გადალებეს.

ინფორმაცია **დავით ქაცარავამ** გაავრცელა:

– ქართული უძველესი ეკლესია აფხაზეთში რუსებმა თეთრად შეღებეს. გგონიათ, ეს XIX საუკუნის დასაწყისის ამბავია, როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო? არა. აფხაზეთი. 2023 წელი. ბიჭვინთის უძველესი, X-XI საუკუნეების ეკლესია ჯერ შეღებეს, მერე სკამები დაამონტაჟეს. კიდევ გინდათ, ხო, ეს „ერთმორწმუნე“ ორკები?

დავით ქაცარავას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას „მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ გამოეხმაურა:

– კადრები აფხაზეთიდან! ბიჭვინთაში X-XI საუკუნეების ქართული ტაძარი რუსულ ყაიდაზე თეთრად გადალებეს, თეატრის სკამები დაამონტაჟეს და ლოცვის ნაცვლად მუსიკა ისმის. ვიდეოკადრები გადაღებულია 2023 წლის სექტემბერში.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ შეშფოთებას აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის განზრახ განადგურების ფართომასშტაბიანი პროცესის გამო.

„მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ (საყდრისის კომიტეტი) აქტივისტებმა, გალის და ოჩამჩირის რაიონების შემდეგ, სექტემბერში, მოახერხეს სოხუმში, გულრიფშში, გუდაუთასა და ბიჭვინთაში ძეგლების მდგომარეობის გაცნობა, ფოტო და ვიდეო მასალის გადაღება. ადგილზე სიტუაციის შესწავლამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარეობს ქართული კვალის წაშლის ორგანიზებული პროცესი, რაც უნიკალური მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება-განადგურებასა და ისტორიული ფაქტების დამახინჯებაში გამოიხატება.

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაშია საერო, მათ შორის, საინჟინრო და საფორტიფიკაციო ძეგლები. მაგალითად, ბესლეთის – ბაგრატის ციხე – V-XIV საუკუნეში ცხუმის ერისთავთა რეზიდენცია და იქვე, მდინარე ბესლეთზე მდებარე ე.წ. თამარის ხიდი, რომლებსაც ჯაგნარი „ჭამს“. მეტიც, ხიდის მძიმე მდგომარეობის გამო, აღარ იკითხება ქართული ასომთავრული წარწერა – „ქრისტე მეუფეო, ადიდე ორთავე მიწასა შინა სუფევით უძლეველი მეფეთ-მეფე ბაგრატი.“

ნგრევის პროცესშია შარვაშიძეების სასახლე სოფელ ლიხნში გულრიფშის რაიონში, რომლის შემორჩენილ კედლებს, ბუნებრივ პროცესებთან ერთად, ქვებში ამოსული ხე-მცენარეებიც ანადგურებენ. საუკუნეების მანძილზე შარვაშიძეების სასახლის სახელით ცნობილი ძეგლი დღეს



„ჩაჩბას რეზიდენციად“ იწოდება, რასაც გალავანზე გაკრული დაფაც მოწმობს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია X-XI საუკუნეების ბიჭვინთის უნიკალური ტაძრის მდგომარეობა, რომელშიც ამჟამად საკონცერტო დარბაზია მოწყობილი, რის შედეგადაც, ბგერითი ტალღების არასათანადო რეგულაცია ჯერ კიდევ შემორჩენილი კედლის მხატვრობის და მოზაიკის ფრაგმენტებისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.

ქართული კვალის წაშლის პროცესი მიმდინარეობს სოხუმის ე.წ. ეროვნულ მუზეუმშიც, სადაც ქართველ მეფეთა ფრესკების ასლები შესაბამისი ინფორმაციის გარეშეა წარმოდგენილი, ასევე, ქართული კულტურული მემკვიდრეობის სხვა არტეფაქტებსაც არ ახლავს სათანადო აღწერილობა.

„მოძრაობამ კულტურული მემკვიდრეობისთვის“, ჯერ კიდევ 3 მაისს, საგანგებო წერილით მიმართა ლურჯი ფარის საერთაშორისო წარმომადგენლობას და იკომოსს, რა დროსაც, მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, მოუწოდა მათ, ემოქმედათ ომის დროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ჰააგის 1954 წლის კონვენციის შესაბამისად და მეტი ყურადღება და აქტიურობა გამოეჩინათ აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადასარჩენად.

„მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ კიდევ ერთხელ მოუწოდებს საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს ხელისუფლებას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ასევე, აკადემიურ წრეებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ბერკეტები და ჯერ კიდევ არსებული კავშირები მეორე მხარესთან, აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნგრევის დაუყოვნებლივ შესაჩერებლად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ინდოეთმა გამანადგურებლები ამოუცნობი ობიექტის გამო ააფრინა



ინდოეთის ხელისუფლებამ ჰაერში მას შემდეგ ააფრინა გამანადგურებლები, როდესაც ამოუცნობი მფრინავი ობიექტის (ამო) თაობაზე შეტყობინება მიიღო, რომელიც მანიპურის შტატის ქალაქ იმპხალის აეროპორტის რაიონში შენიშნეს.

აღნიშნული ინციდენტი კვირას, 19 ნოემბერს, ადგილობრივი დროით დაახლოებით 14:30 საათზე მოხდა. სამართალდამცავი ორგანოების ანონიმურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამოუცნობი ობიექტი რამდენიმე საათის განმავლობაში ტრიალებდა აეროპორტის შემოგარენში.

– ამო შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა და აეროდრომიდან დასავლეთით საღამოს ოთხი საათისთვის გადაადგილდებოდა, – ნათქვამია ადგილობრივი ახალი ამბების სააგენტოს განცხადებაში.

ობიექტისთვის გზის გადასაჭრელად უახლოესი ავიაბაზიდან გამანადგურებელი აფრინდა, თუმცა მისმა პილოტმა საეჭვო ვერაფერი შენიშნა. მალევე ჰაერში მეორე გამანადგურებელიც აფრინდა, თუმცა ვერც მისმა პილოტმა ვერ შენიშნა ვერაფერი. მომხდარის გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციები არ ვრცელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სპორტი

### შედეგები

25 ნოემბერი

ფეხბურთი

#### უეფას კონფერენციის ლიგა

მაქაბი-ზორია ........ 3:2

#### ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ლივერპული ........ 1:1

ბარნლი-ვესტ ჰემი ........ 1:2

ლუთონი-კრ.პალასი ........ 2:1

ნოტინგემი-ბრაიტონი ........ 2:3

ნიუკასლი-ჩელსი ........ 4:1

შეფილდი-ბორნმუთი ........ 1:3

ბრენტფორდი-არსენალი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 13 | 9 | 3 | 1 | 27-10 | 30 |
| 2.სიტი | 13 | 9 | 2 | 2 | 33-13 | 29 |
| 3.ლივერპული | 13 | 8 | 4 | 1 | 28-11 | 28 |
| 4.ტოტენჰემი | 12 | 8 | 2 | 2 | 24-15 | 26 |
| 5.ასტონ ვილა | 12 | 8 | 1 | 3 | 29-17 | 25 |
| 6.ნიუკასლი | 13 | 7 | 2 | 4 | 31-14 | 23 |
| 7.ბრაიტონი | 13 | 6 | 4 | 3 | 28-23 | 22 |
| 8.მანჩესტერი | 12 | 7 | 0 | 5 | 13-16 | 21 |
| 9.ვესტ ჰემი | 13 | 6 | 2 | 5 | 23-23 | 20 |
| 10.ჩელსი | 13 | 4 | 4 | 5 | 22-20 | 16 |
| 11.ბრენტფორდი | 13 | 4 | 4 | 5 | 19-18 | 16 |
| 12.ვულვზი | 12 | 4 | 3 | 5 | 16-20 | 15 |
| 13.კრ.პალასი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| 14.ნოტინგემი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-21 | 13 |
| 15.ფულემი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-20 | 12 |
| 16.ბორნმუთი | 13 | 3 | 3 | 7 | 14-28 | 12 |
| 17.ლუთონი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-23 | 9 |
| 18.შეფილდი | 13 | 1 | 2 | 10 | 11-34 | 5 |
| 19.ევერტონი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-17 | 4 |
| 20.ბარნლი | 13 | 1 | 1 | 11 | 10-32 | 4 |

შენიშვნა: ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

#### გერმანია. ბუნდესლიგა

დორტმუნდი-გლადბახი ........ 4:2

ვერდერი-ლევერკუზენი ........ 0:3

ვოლფსბურგი-ლაიფციგი ........ 2:1

უნიონი-აუგსბურგი ........ 1:1

ფრაიბურგი-დარმშტადი ........ 1:1

აინტრახტი-შტუტგარტი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 12 | 11 | 1 | 0 | 37-10 | 34 |
| 2.ბაიერნი | 12 | 10 | 2 | 0 | 43-9 | 32 |
| 3.შტუტგარტი | 12 | 9 | 0 | 3 | 31-15 | 27 |
| 4.დორტმუნდი | 12 | 7 | 3 | 2 | 25-19 | 24 |
| 5.ლაიფციგი | 12 | 7 | 2 | 3 | 29-12 | 23 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 11 | 6 | 1 | 4 | 23-20 | 19 |
| 7.აინტრახტი | 12 | 4 | 6 | 2 | 18-13 | 18 |
| 8.ვოლფსბურგი | 12 | 5 | 1 | 6 | 17-21 | 16 |
| 9.ფრაიბურგი | 12 | 4 | 3 | 5 | 15-23 | 15 |
| 10.აუგსბურგი | 12 | 3 | 5 | 4 | 21-24 | 14 |
| 11.გლადბახი | 12 | 3 | 4 | 5 | 25-27 | 13 |
| 12.ვერდერი | 12 | 3 | 2 | 7 | 18-25 | 11 |
| 13.ჰაიდენჰაიმი | 11 | 3 | 1 | 7 | 17-26 | 10 |
| 14.ბოხუმი | 11 | 1 | 6 | 4 | 11-25 | 9 |
| 15.დარმშტადი | 12 | 2 | 3 | 7 | 15-33 | 9 |
| 16.მაინცი | 11 | 1 | 4 | 6 | 11-24 | 7 |
| 17.უნიონი | 12 | 2 | 1 | 9 | 12-27 | 7 |
| 18.კიოლნი | 12 | 1 | 3 | 8 | 9-24 | 6 |

#### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რაიო-ბარსელონა ........ 1:1

ვალენსია-სელტა ........ 0:0

ხეტაფე-ალმერია ........ 2:1

ატლეტიკო-მალიორკა ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხირონა | 13 | 11 | 1 | 1 | 31-16 | 34 |
| 2.რეალი | 13 | 10 | 2 | 1 | 28-9 | 32 |
| 3.ატლეტიკო | 13 | 10 | 1 | 2 | 30-12 | 31 |
| 4.ბარსელონა | 14 | 9 | 4 | 1 | 27-14 | 31 |
| 5.ბილბაო | 13 | 7 | 3 | 3 | 25-17 | 24 |
| 6.სოსიედადი | 13 | 6 | 4 | 3 | 23-16 | 22 |
| 7.ბეტისი | 13 | 5 | 6 | 2 | 17-16 | 21 |
| 8.ხეტაფე | 14 | 4 | 7 | 3 | 17-18 | 19 |
| 9.რაიო | 14 | 4 | 7 | 3 | 16-18 | 19 |
| 10.ვალენსია | 14 | 5 | 4 | 5 | 16-18 | 19 |
| 11.ლას პალმასი | 13 | 5 | 3 | 5 | 11-12 | 18 |
| 12.ალავესი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-19 | 15 |
| 13.ოსასუნა | 13 | 4 | 2 | 7 | 15-21 | 14 |
| 14.სევილია | 12 | 2 | 6 | 4 | 18-17 | 12 |
| 15.ვილიარეალი | 13 | 3 | 3 | 7 | 18-24 | 12 |
| 16.კადისი | 12 | 2 | 4 | 6 | 10-17 | 10 |
| 17.მალიორკა | 13 | 1 | 6 | 6 | 12-19 | 9 |
| 18.სელტა | 14 | 1 | 5 | 8 | 14-24 | 8 |
| 19.გრანადა | 14 | 1 | 4 | 9 | 19-33 | 7 |
| 20.ალმერია | 14 | 0 | 3 | 11 | 16-37 | 3 |

#### იტალია. სერია ა

სალერნიტანა-ლაციო ........ 2:1

ატალანტა-ნაპოლი ........ 1:2

ნაპოლის პირველი გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა

მილანი-ფიორენტინა ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 12 | 10 | 1 | 1 | 29-6 | 31 |
| 2.იუვენტუსი | 12 | 9 | 2 | 1 | 19-7 | 29 |
| 3.მილანი | 13 | 8 | 2 | 3 | 21-14 | 26 |
| 4.ნაპოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 26-14 | 24 |
| 5.ფიორენტინა | 13 | 6 | 2 | 5 | 20-17 | 20 |
| 6.ატალანტა | 13 | 6 | 2 | 5 | 21-13 | 20 |
| 7.რომა | 12 | 5 | 3 | 4 | 22-14 | 18 |
| 8.ბოლონია | 12 | 4 | 6 | 2 | 13-10 | 18 |
| 9.მონცა | 12 | 4 | 5 | 3 | 13-11 | 17 |
| 10.ლაციო | 13 | 5 | 2 | 6 | 14-15 | 17 |
| 11.ტორინო | 12 | 4 | 4 | 4 | 10-14 | 16 |
| 12.ფროზინონე | 12 | 4 | 3 | 5 | 17-20 | 15 |
| 13.ლეჩე | 12 | 3 | 5 | 4 | 13-16 | 14 |
| 14.ჯენოა | 12 | 4 | 2 | 6 | 13-16 | 14 |
| 15.სასუოლო | 12 | 3 | 3 | 6 | 16-21 | 12 |
| 16.უდინეზე | 12 | 1 | 8 | 3 | 8-15 | 11 |
| 17.ემპოლი | 12 | 3 | 1 | 8 | 5-21 | 10 |
| 18.კალიარი | 12 | 2 | 3 | 7 | 12-24 | 9 |
| 19.ვერონა | 12 | 2 | 2 | 8 | 7-16 | 8 |
| 20.სალერნიტანა | 13 | 1 | 5 | 7 | 10-25 | 8 |

#### საფრანგეთი. ლიგა 1

კლერმონი-ლანსი ........ 0:3

სტრასბური-მარსელი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 9 | 3 | 1 | 34-11 | 30 |
| 2.ნიცა | 12 | 7 | 5 | 0 | 13-4 | 26 |
| 3.მონაკო | 13 | 7 | 3 | 3 | 27-19 | 24 |
| 4.ლილი | 12 | 5 | 5 | 2 | 15-11 | 20 |
| 5.რეიმსი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-15 | 20 |
| 6.ლანსი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-13 | 19 |
| 7.ლე ავრი | 12 | 3 | 6 | 3 | 12-13 | 15 |
| 8.ბრესტი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-13 | 15 |
| 9.მარსელი | 12 | 3 | 5 | 4 | 13-14 | 14 |
| 10.ნანტი | 12 | 4 | 2 | 6 | 17-23 | 14 |
| 11.მეცი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-18 | 13 |
| 12.სტრასბური | 12 | 3 | 4 | 5 | 10-16 | 13 |
| 13.მონპელიე | 11 | 3 | 4 | 4 | 15-14 | 12 |
| 14.რენი | 12 | 2 | 6 | 4 | 16-16 | 12 |
| 15.ტულუზა | 12 | 2 | 6 | 4 | 13-16 | 12 |
| 16.ლორიანი | 12 | 2 | 5 | 5 | 15-21 | 11 |
| 17.კლერმონი | 12 | 2 | 3 | 7 | 8-17 | 9 |
| 18.ლიონი | 11 | 1 | 4 | 6 | 9-19 | 7 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ბათუმის დინამო საქართველოს ჩემპიონია

**დინამო (ბთ)-თელავი 3:0**
**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**
**1:0 ბიძინაშვილი (24), 2:0 ზარია (54), 3:0 ფაცაცია (90)**

43-ე წუთზე მამუჩაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (ძელი)

**დინამო:** კვასხვაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, ხარაბაძე, მოსიაშვილი (ტეიდი 46), ბიძინაშვილი (ბაგრატიონი 84), ზარია (ც.ფაცაცია 71), ღუდუშაური (თ.კაპანაძე 78), წიტაიშვილი, ფლამარიონი (ჩაბრაძე 84)

**თელავი:** ქურდაძე, ვ.ფაცაცია (გოშთელიანი 57), ცნობილაძე, გუტი, მორჩილაძე, ბეგიჩი (ბაშელეიშვილი 66), ქანთარია, გაბიტაშვილი, პარკინაშვილი, რუხაძე, დეზირე (ჯეფინიო 68)

ბათუმში ზეიმია – 3:0 თელავთან და ზღვისპირული კლუბი ეროვნული ლიგის ჩემპიონია!

პირველ ნახევარში ირაკლი ბიძინაშვილმა გახსნა ანგარიში ზუსტი თავურით... შესვენების წინ ბათუმელებს იდეალური შანსი ჰქონდათ სხვაობის გაზრდისა, მაგრამ ვლადიმერ მამუჩაშვილმა პენალტი ვერ გაიტანა – ძელს მოარტყა ბურთი.

მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა გოლები დახატეს. ჯერ ბათუმელთა ჩინებული კომბინაციის შემდეგ გიორგი ზარიამ რამდენიმე მეტოქე საჯარიმოში მიმოფანტა და კარგი დარტყმაც მიაყოლა; ბოლოს კი, ცოტნე ფაცაციამ 55-60 მეტრიდან იშვიათი სიზუსტით ჩასვა ბურთი კარში – 3:0.

თელავს რაც შეეხება, გუნდმა ზედიზედ მეოთხედ წააგო, თუმცა მეშვიდე ადგილზე რჩება.

**ტორპედო-დინამო (თბ) 2:2**
**ქუთაისი. რამაზ შენგელია**
**1:0 შერგელაშვილი (39), 2:0 არაბიძე (58), 2:1 მარუშიჩი (80), 2:2 ოდიშარია (90)**

**ტორპედო:** კლიაიჩი, ჭიჭინაძე, სანდოხაძე, გოგლიჩიძე, მჭედლიშვილი (ქობულაძე 77), არაბიძე, გიგაური, მანჯგალაძე, შერგელაშვილი, ბულრიძე, ნინკოვიჩი (ეკონგოლო 81)

**დინამო:** ლორია, მაისურაძე, ხვადაგიანი, კალანდაძე, კადეტე (ლაკვეხელიანი 24), ოსეი (ოსიყმაშვილი 9), ხარაიშვილი, მექვაბიშვილი, ბუშნია (ოდიშარია 65), კამარა (სალია 65), სხირტლაძე (მარუშიჩი 65)

ქუთაისში შედეგიანი ფრე ვნახეთ. ტორპედო 2:0-ს უგებდა დინამო თბილისს და საბოლოოდ, სტუმრებმა შეძლეს თამაშის გადარჩენა. მეტიც, ბოლოს გამარჯვებაც შეეძლოთ, მაგრამ ტორპედოს მეკარე ფილიპ კლიაიჩმა რთული ბურთი მოიგერია...

ქუთაისელთა ცაციები კვლავ ფორმაში იყვნენ. პირველ ტაიმში ლაშა შერგელაშვილმა, ხოლო მეორე ნახევარში გიორგი არაბიძემ გაიტანეს. არაბიძისთვის ეს მე-12 გოლია მიმდინარე ეროვნულ ლიგაში.

დინამომ მე-80 წუთზე შეამცირა სხვაობა: გიორგი მაისურაძის ჩაწოდებულს ზორან მარუშიჩის თავური მოჰყვა. სერბმა 15 გოლი მოაგროვა და ერთი ბურთით ჩამორჩება ლიდერ ჯოვინო ფლამარიონს.

ანგარიში კი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გათანაბრდა: ლაშა ოდიშარიამ ორიგინალურად ჩააწოდა ან კარში დაარტყა, ბურთმა ტრაექტორია შეიცვალა და კარში შევარდა – 2:2.

დინამომ მეორე ადგილი გაინაღდა, ტორპედო კი მეოთხე ადგილზეა და ევროტურნირებზე გასასვლელად იბრძვის.

**დიღა-გაგრა 1:0**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**
**1:0 ეტოუ (17)**

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ეტოუ, ზ.თევზაძე, სილვა, ნ.გაგნიძე, სანტოსი, ჟან ვიქტორი, გომისი, გაფრინდაშვილი (სარდალიშვილი 84), კოვტალიუკი (კუხიანიძე 64)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი (ჩიხრაძე 84), კაკუბავა, ჯანგიძე, კლოდინი, ჟორდანია (აროშიძე 80), პაპავა, ლომთაძე (შუბითიძე 84), შონია (ხომუტოვი 80), მამაცაშვილი (ზოიძე 70), შონგა



გორის დილამ რომარიკ ეტოუს გოლით სძლია გაგრას და მესამე ადგილზე დაბრუნდა. კონგოელმა მე-17 წუთზე თავით გაიტანა.

დილამ ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვა, გაგრამ კი ბოლო ოთხ შეხვედრაში სამჯერ წააგო და ბოლოსწინა ადგილზეა, მაგრამ არაა გამორიცხული, მეშვიდე ადგილზე გასვლა მოახერხოს და ფლეი-ოფს ასცდეს.

**საბურთალო-სამგურალი 2:2**
**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**
**1:0 მამაგეიშვილი (18), 2:0 ტაბატაძე (26), 2:1 იკპე (62), 2:2 კალანდარიშვილი (81)**

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, გ.მამაგეიშვილი (სიხარულიძე 83), შ.ნონიკაშვილი, ო.მამაგეიშვილი (კომახიძე 62), გ.კოხრეიძე (სილაგაძე 62), ტაბატაძე (ჩამბა 75), სილა (ლ.ნონიკაშვილი 75)

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი (მარკოვინა 58), მაისაშვილი, ბული (კალანდარიშვილი 66), ლომინაძე, დარცმელია (კაგაიამა 66), ავერულიძე (ნ.ხორხელი 54), სულაქველიძე (ჩიხლაძე 54), ლ.ხორხელი, იკპე

საბურთალო პირველი ტაიმის მერე 2:0-ს უგებდა სამგურალს, მაგრამ წყალტუბოელებმა მეორე ნახევარში შეძლეს თამაშის გადარჩენა.

პირველი გოლი ოთარ მამაგეიშვილმა გაიტანა – იური ტაბატაძემ კუთხური ჩააწოდა, გიორგი კოხრეიძემ ბურთს მიმართულება შეუცვალა და ოთარ მამაგეიშვილმა ახლოდან ზუსტად დაამატა – 1:0. ამას მალევე ტაბატაძის მშვენიერი ინდივიდუალური გოლი მოჰყვა – საბურთალოელმა ცენტრიდან წაიღო ბურთი, გასცდა ორ მეტოქეს და საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმით 2:0 გახადა ანგარიში.

სამგურალმა 62-ე წუთზე შეამცირა სხვაობა, კოტდივუარელმა იკპეგილენ გნამიამ თავურით გაიტანა, 81-ე წუთზე კი, ნიკა კალანდარიშვილმა მიაყოლა თავური და 2:2. ორივე გოლი კუთხურს მოჰყვა და ორჯერვე დემურ ჩიხლაძემ ჩააწოდა.

გუნდები 51-51 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილზე არიან.

**შუქურა-სამტრედია 0:9**
**ანგისა. ჯონი ბაკურიძე**
**0:1, 0:2 მიშოვი (15, 19), 0:3 პავიშიჩი (33), 0:4 ხაიბულაევი (40), 0:5 ი.ახვლედიანი (51), 0:6 კირკიტაძე (53), 0:7, 0:8 თ.ახვლედიანი (57პ, 76), 0:9 კირკიტაძე (81)**

**შუქურა:** ღლონტი, ალ ხათიბი, ცეცხლაძე (გოგიტიძე 80), სალუქვაძე (კვირკველია 46), გირითილაძე, ხაბაზი, მესხიძე, ძირკვაძე (დოლიძე 56), დ.ბაგრატიონი (ხოზრევანიძე 80), კონცელიძე, აბანდო

**სამტრედია:** ხარატიშვილი, ი.ახვლედიანი, აბულაძე (იოსელიანი 56), კილასონია, უბილავა, ხმალაძე (დ.კირკიტაძე 46), პავიშიჩი (ჩიტაიშვილი 46), თ.ახვლედიანი, ხაიბულაევი, ნაჭყებია (ინჯგია 46), მიშოვი (ფირანაშვილი 46)

ამ სეზონში ყველაზე დიდი სხვაობა დაფიქსირდა. სამტრედიამ ქობულეთის შუქურას სტუმრად 9 უპასუხო გოლი გაუტანა.

შუქურაში თითქმის მთლიანად 19-წლამდელთა გუნდის ფეხბურთელებმა ითამაშეს. მიზეზი სახელფასო დავალიანებაა, რის გამოც ძირითადმა გუნდმა თამაშზე გასვლაზე უარი თქვა.

დუბლი შეასრულეს ალექსანდარ მიშოვმა, დათო კირკიტაძემ და თორნიკე ახვლედიანმა. ასევე გაიტანეს სტრაჰინია პავიშიჩმა. აბდულა ხაიბულაევმა და ილია ახვლედიანმა.

სამტრედია მერვე ადგილზეა და ცდილობს, რომ ფლეი ოფის ზონას ასცდეს, ანუ მეშვიდეზე გავიდეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 34 | 21 | 10 | 3 | 79-33 | 73 |
| 2.დინამო (თბ) | 34 | 19 | 8 | 7 | 84-47 | 65 |
| 3.დილა | 34 | 16 | 9 | 9 | 53-37 | 57 |
| 4.ტორპედო | 34 | 15 | 11 | 8 | 44-35 | 56 |
| 5.საბურთალო | 34 | 14 | 9 | 11 | 58-43 | 51 |
| 6.სამგურალი | 34 | 14 | 9 | 11 | 49-49 | 51 |
| 7.თელავი | 34 | 9 | 7 | 18 | 30-59 | 34 |
| 8.სამტრედია | 34 | 9 | 6 | 19 | 45-55 | 33 |
| 9.გაგრა | 34 | 8 | 8 | 18 | 34-62 | 32 |
| 10.შუქურა | 34 | 4 | 5 | 25 | 38-94 | 11 |

**შენიშვნა:** შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

# ვილი სანიოლი: „გამარჯვების გარდა სხვა სცენარის წარმოდგენა მიჭირს“



ნიონში, ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი ოფის წილისყრა გაიმართა და ერთა ლიგის ც დივიზიონის საუკეთესო ოთხეულის ფინალური მატჩის ჩატარების ადგილი გამოვლინდა. 26 მარტს, ფინალურ შეხვედრას საქართველო-ლუქსემბურგის წყვილში გამარჯვებული გუნდი უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფის ნახევარფინალური მატჩი საქართველოსა და ლუქსემბურგს შორის, 21 მარტს საქართველოში გაიმართება.

წილისყრას საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე იაშვილი ესწრებოდნენ.

**ვილი სანიოლი:**

– ჩვენი შესანიშნავი გულშემატკივრის გათვალისწინებით, დიდი სხვაობაა საკუთარ მოედანზე და სტუმრად თამაშს შორის. ფინალზე ფიქრი ჯერჯერობით არ მსურს, რადგან ჯერ ნახევარფინალი გვაქვს სათამაშო. ბედნიერი ვარ, რომ ლუქსემბურგთან საშინაო კედლებში ვითამაშებთ. დარწმუნებული ვარ, სტადიონი გაივსება და შესანიშნავი ატმოსფერო იქნება.

10-15 წლის წინ, ლუქსემბურგი საფეხბურთო თვალსაზრისით დიდ ქვეყნად არ ითვლებოდა. თუმცა, ბოლო პერიოდში დიდი სამუშაო გასწიეს და ბევრი ფეხბურთელი მიიწვიეს სხვადასხვა ქვეყნიდან. ახლა, ლუქსემბურგის ნაკრები გერმანიის და იტალიის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ასე რომ, რთული თამაში გველის, თუმცა ჩვენი გულშემატკივრის მხარდაჭერით, გამარჯვების გარდა სხვა სცენარის წარმოდგენა მიჭირს.

**ალექსანდრე იაშვილი:**

– საკუთარ მოედანზე თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთა ლიგაზე სწორედ ამაზე ვიყავით კონცენტრირებულები, რათა მოგვეგო მაქსიმალურად ყველა თამაში და ეს უპირატესობა მოგვეპოვებინა ნახევარფინალში.

ლუქსემბურგი ძლიერი გუნდია, კარგად ითამაშა შესარჩევი ციკლი. მნიშვნელოვანია ჩვენი გულშემატკივრის ენერგია და მჯერა ჩვენი გუნდის, ჩვენი ბიჭების. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გავიმარჯვოთ ნახევარფინალში და მოვიპოვოთ ფინალში თამაშის უფლება, რომელიც ასევე საქართველოშია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გულშემატკივართან ერთად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ავიხდინოთ ოცნება, რასაც ევროპის ჩემპიონატზე თამაში ჰქვია.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, უკვე იცით, რომ ფლეი ოფის ნახევარფინალში ჩვენ ხვიჩა კვარაცხელია ვერ დაგვეხმარება. თავის მხრივ, ლიდერი დააკლდება ლუქსემბურგელებსაც – დანიელ სინანი შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურში ლიხტენშტეინთან მატჩისას გააძევეს.

ამ ამბით შეწუხებულია მეტოქე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლიუკ ჰოლცი:**

–საქართველოში ძალიან გაგვიჭირდება. არ მსურს რეალობის დაკარგვა და მაღალი მიზნების დასახვა. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების ყველაზე კარგი შანსი საბერძნეთის ნაკრებს აქვს. ჯერჯერობით, ფლეი ოფზე საუბარს ვერიდები, რადგან კონტრაქტი წლის ბოლომდე მაქვს. გამოცდილი მწვრთნელი ვარ და კარგად ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ყველაფერი სრულდება. ჩვენ 17 ქულა დავაგროვეთ და სხვა ქვეყნებისთვის საინტერესო ნაკრები გავხდით. სინანის დანაკლისი ჩვენთვის კატასტროფაა. ეს წესები და ვარ-ის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები უკვე გაუგებარი ხდება. იმ ხალხის მიმართ, ვინც ამ წესებს ადგენს, არანაირი სიმპათია არ მაქვს. მეტიც, ისეთი განცდა მაქვს, რომ ვარ-ის შემოღების შემდეგ, ფეხბურთში არასწორმა გადაწყვეტილებებმა იმატა.

ევრო 2024-ის ფლეი ოფის ფინალში, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი სავარაუდო მეტოქე საბერძნეთია. მეტიც, ეს გუნდები ამ ოთხეულში ფავორიტად მიიჩნევა. ელადელებს ურუგვაელი გუსტავო პოიეტი წვრთნის, რომელიც გაზაფხულზე გასამართ მატჩებს გამოეხმაურა.

„ერთა ლიგაში ნაჩვენები კარგი შედეგი საბერძნეთს დიდ საერთაშორისო ტურნირზე დაბრუნების შანსს აძლევს. ჩვენ ერთ-ერთი პირველი ვიყავით, ვინც ფლეი ოფში თამაში გაინაღდა. საკვალიფიკაციო ციკლიც დავასრულეთ და წინ გადამწყვეტი თამაშები გველის. საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ მთავარ მიზნად სწორედ ევრო 2024-ზე მოხვედრა დამისახა, რისთვისაც ჩემს ფეხბურთელებთან ერთად ყველაფერს ვაკეთებთ. რაც შეეხება წილისყრას, ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც გვსურდა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. საქართველო-ლუქსემბურგი? ჯერ ამაზე საუბარი არ მსურს. მოდით, ასე გეტყვით, ჩემთვის ფინალი ჯერ ყაზახეთთან იქნება. ახლა, ამაზე ვართ კონცენტრირებული. ჩავთვალოთ, ყველაფერი ამ თამაშში წყდება – მისი მოგებით, ევროპის ჩემპიონატს ძალიან მივუახლოვდებით.

შეგახსენებთ, ევრო 2024-ის ფლეი ნახევარფინალებში (21 მარტს) საბერძნეთი ყაზახეთს უმასპინძლებს, საქართველო – ლუქსემბურგს. ფინალი, რომელიც 26 მარტს არის დანიშნული. მასპინძელი, საქართველო-ლუქსემბურგს შორის გამარჯვებული იქნება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 2. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 3. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 4. მოღრუბლული დილა; 7. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 9. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. საჭმელი სოკო; 15. საფეხურებად გადმომჩქეფარე ხელოვნური წყალვარდნილი; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 5. აეროპორტი სოხუმში; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის ცნობილი ნოველა; 10. კომედიური ჟანრის მუსიკალური წარმოდგენა; 11. მწვავე სისხლნაკლებობა; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური საბერძნეთში; 18. ბარიტის საბადო რაჭაში; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 21. მკბენარა მწერი; 22. გემის მიერ განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გლობუსი; 2. ტიგელი; 3. არველაძე; 4. გეორგიკა; 7. კონვეიერი; 8. ტრომბონი; 12. სკალპელი; 14. მატაბელი; 16. კოლაფსი; 17. გამბიტი; 19. ლეგო; 20. ზღვა.

**თარაზულად:** 5. ღლიღვები; 6. ვირსალაძე; 9. მაყალო; 10. ლოკალი; 11. ლოიდი; 13. ოკაცე; 15. ტაბიძე; 18. ბონდი; 21. შემოქმედი; 22. ფარღული; 23. ჰონვედი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დედვეიტი; 2. გალუა; 3. ფონოთეკა; 4. ტიროლი; 7. ხიხვი; 9. ატოლი; 12. უსახელაური; 14. პანედა; 15. ლაუდერი; 17. შარტავა; 20. კიური.

**თარაზულად:** 5. რეფერატი; 6. კაოლინი; 8. ოპუნცია; 10. ჯავახეთი; 11. სტრიტი; 13. არაქისი; 16. მიკიტანი; 18. კამეა; 21. გილდია; 22. არმატურა; 23. თაკვერი.

ახალი თაობა
akhalitaoba.ge

27 ნოემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.7128

ევრო — 2.9594

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4081

100 რუსული რუბლი — 3.0518

**ამინდის პროგნოზი 27 ნოემბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხავი: „მსაჯების შეცდომებმა ბევრი ქულა დაგვაკარგვინა“



ბარსელონამ სტუმრად რაიო ვალეკანოს დამარცხება ვერ შეძლო და შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. ბოლო წუთზე მსაჯს შეეძლო რაიო ვალეკანოს კარში პენალტის დანიშვნა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რითიც ხავის აღშფოთება გამოიწვია, რომლის აზრითაც, ბარსელონას მსაჯები უსამართლოდ ექცევიან:

– აშკარა პენალტი არ დაგვინიშნეს და ამის გამო ქულები დავკარგეთ. ეს უკვე მერამდენედ ხდება. საფეხბურთო ფედერაციამ რამე უნდა ილონოს, რომ მსგავსი შეცდომები ხშირად არ განმეორდეს.

## კვარაცხელიამ ატალანტას გოლი გაუტანა



ხვიჩა კვარაცხელიამ ატალანტასთან გოლის გატანა მოახერხა, ხოლო მისმა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 2:1 და სატურნირო ცხრილში მდგომარეობა შედარებით გაიუმჯობესა. ხვიჩა მთელი მატჩის მანძილზე აქტიური იყო და მან ლამაზი თავური დარტყმით შეძლო გოლის გატანა. შეხვედრის შემდეგ ნაპოლის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ მაცარიმ თქვა, რომ ის კვარაცხელიას თამაშით კმაყოფილია.

## ხოსეპ გვარდიოლა: „ლივერპულის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია“



მანჩესტერ სიტიმ საკუთარ მოედანზე ლივერპულს უმასპინძლა და მათი დამარცხება ვერ შეძლო. საბოლოოდ შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. მატჩის შემდეგ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ თქვა, რომ ლივერპულთან თამაში ადვილი არასოდეს არის და ის თავის გუნდს საყვედურს ვერ ეტყვის:

– ლივერპულმა თავისი ძალა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუმცა ვთვლი, რომ მოგებას ვიმსახურებდით. სიტი კარგ ფორმაშია და ჩვენ მოგებებს გავაგრძელებთ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ხელოვნების სასახლე გრანდიოზულ პროექტს იწყებს

ხელოვნების სასახლის მეცნიერთა ჯგუფი ძალიან მალე საზოგადოებას გრანდიოზულ პროექტს წარუდგენს.

ინფორმაცია ამის შესახებ ხელოვნების სასახლის დირექტორმა **გიორგი კალანდიამ** გაავრცელა:



– უკვე 2 წელია ხელოვნების სასახლის მეცნიერთა ჯგუფი სამეგრელოში სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში მუშაობს. გვქონდა ბედნიერება არაერთ სიძველეს ვწვეოდით, აგვეზომა, ფოტოზე დაგვეფიქსირებინა და ჩაგვეხატა...

ჩვენ მიერ გადმოღებული ლაპიდარული წარწერების რაოდენობამ 100 ერთეულს გადააჭარბა. ფოტოზე დაფიქსირდა ფრესკული მხატვრობის ყველა ნიმუში, შესწავლილია უნიკალური ტაძრები, ციხეები, სამუზეუმო ექსპონატი.

პროექტი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს და თავიდან 2 დიდი ფორმატის კრებულის გამოცემა გვქონდა გადაწყვეტილი, თუმცა ექსპედიციის მიერ მოპოვებული სამეცნიერო მასალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მესამე ტომის მომზადებაც გახდა საჭირო.

ამ კეთილშობილურ წამოწყებაში შემოგვიერთდა საქველმოქმედო ფონდი „ხარება“ და ჩვენი პროექტი უფრო მასშტაბური და მრავალმხრივი გახადა. განსაკუთრებული მადლობა ფონდის დამფუძნებლებს და გამორჩეულად ბატონ თემურ ვეკუას, რომელმაც დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ჩვენი მუზეუმის მისამართით.

ასე რომ, მომავალ წელს ფონდ „ხარება“-სთან ერთად, ხელოვნების სასახლე, ზუგდიდის დადიანების სასახლე და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მკითხველს აჩუქებს დიდ მონოგრაფიას, ფერად სამტომეულს „სამეგრელო“. საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეზე ამ მასშტაბის გამოცემა ჯერ არ მომზადებულა.

## მატილდა გვარლიანი დოლჩე და გაბანას ჩვენებაზე გამოვიდა



ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი ლეგენდარული დოლჩე და გაბანას ჩვენებაზე გამოვიდა. პოდიუმზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მატილდა გვარლიანი, ვიტორია ჩერეტი, ირინა შეიკი, ნაომი ქემბელი და მარიაკარლა ბოსკონო. ჩვენება ვიტორია ჩერეტიმ გახსნა და ნაომი ქემბელ[illegible] დახურა.

მილანისა და ლონდონის მოდის კვირეულების განმავლობაში მატილდამ არაერთი ცნობი[illegible]იზაინერის უახლესი კოლექციებ[illegible]დგინა, მათ შორის, ქართველი დავით კომახიძის, იგივე დევიდ კომას კოლ[illegible]ემები.

## „შაშვი, შაშვი მაყვალი“ ფრანგულად ითარგმნა




მწერალ თამთა მელაშვილის გახმაურებული რომანი „შაშვი, შაშვი მაყვალი“ ფრანგულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა.

სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოცემული რომანის ფრანგულ ენაზე მთარგმნელები ალექსანდრ ბეინბრიჯი და ხათუნა კაპანაძე არიან.

თამთა მელაშვილის რომანი უკვე მრავალ ენაზე ითარგმნა და გამოიცა. რეჟისორმა ელენე ნავერიანმა მხატვრული ფილმიც გადაიღო, რომელმაც არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმარჯვა.

## მომღერალ ლილი გოგელიას 100 წლის იუბილე კონცერტით აღინიშნა



ლეგენდარული ქართველი მომღერლის ლილი გოგელიას საუკუნოვანი იუბილე მარჯანიშვილის თეატრში კონცერტით აღინიშნა.

საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ: სოფო გელოვანი, მერაბ სეფაშვილი, ნოდარიკო ხუციშვილი, დათო ნოზაძე, ნეკა სებისკვერაძე, ნათია პერანიძე, თეატრალურის კვარტეტი, ვოკალის აკადემიის კვარტეტი; მუსიკალური ბენდი: ნინო გულიაშვილი, პაატა ანდრიაძე, ზაზა ცერცვაძე, ლევან დეისაძე, ირაკლი მენთეშაშვილი და დიტო საკანდელიძე.

ლილი გეგელიას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტის წამყვანი ნია ბახტაძე გახლდათ. მან დამსწრე საზოგადოებას ლილი გოგელიას ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები გააცნო და საინტერესო და უცნობი ისტორიებიც გაიხსენა.

ესტრადის ცნობილმა მომღერლებმა კი ქართველი კომპოზიტორების რჩეული ნაწარმოებები შეასრულეს.

## სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრს მისი დამაარსებლის გიორგი რატიანის სახელი მიენიჭა




სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრს „თეთრი ტალღა“ მისი დამაარსებლის გიორგი რატიანის სახელი მიენიჭა:

– ჩვენი თეატრის ისტორიაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა, თეატრს ოფიციალურად მიენიჭა მისი დამაარსებლის, ბატონი გიორგი რატიანის სახელი. ამიერიდან ჩვენს თეატრს ეწოდება სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი. ამ დიდებულ მოვლენას ვულოცავთ ბატონ გიორგის და სრულიად საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას. ისტორიაში პირველად, სიცოცხლეშივე თეატრს მიენიჭა მისი დამაარსებლის სახელი. უღრმეს მადლობას ვუხდით თითოეულ პიროვნებას, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ ისტორიული მოვლენის განხორციელებაში.

ბატონი გიორგი რატიანი ხონში დაიბადა. თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, მოღვაწეობდა სოხუმის თეატრში. იგი არის აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, აფხაზეთის სახალხო არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ხონის საპატიო მოქალაქე. სპექტაკლებში ნათამაშები აქვს 200-ზე მეტი როლი, მათ შორის აღსანიშნავია: ანტონ ჩეხოვის „თოლიაში“ სორინი, ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“ არჩილი, ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნაში“ შოშია გოგოლაძე, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“ იანვარა, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ ფარსმან სპარსი, ჟან ანუის „ანტიგონეში“ კრეონტი, კარლო კოლოდის „პინოქიოში“ ჯეპეტო...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძველბერძენი მოქანდაკე, ნეფერტიტის ბიუსტის ავტორი; 2. მძიმე თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვის ძრავა; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ორგანიზმის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. პირფერული ქება; 8. მკურნალობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 14. მდინარე შუა აზიაში; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 19. უკრაინის პარლამენტი; 20. გემის მზარეული.

**თარაზულად:** 5. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 6. პრეზიდენტის სასახლე რომში; 9. შტატი აშშ-ში; 10. დუმფარასნაირთა ოჯახის წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 11. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 13. მომღერალი პოეტი-მუსიკოსი შუა აზიაში; 15. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ირანში; 21. მორიელის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი ორნითოლოგიის ნაწილი; 23. ლუდის მწარმოებელი ფირმა საქართველოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

